პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი
№ 189 (13881)

კვირა, 13 აგვისტო, 1967 წ.

ფასი 2 კაპ.

პარტიის ვეტერანები

ОПРАВДА

12 აგვისტოს მოწინავე

ეს იყო შესანიშნავი წუთები. სასახლის მოედანზე, სადაც ამ ცოტა ხნის წინათ ლენინის ქალაქის ახალგაზრდობის მანიფესტაცია მიმდინარეობდა, გამოჩნდა პარტიის ვეტერანთა, ოქტომბრის გმირთა ჯგუფი. თმაშეჭვრცხლოილნი მოდიოდნენ ამაყად, როგორც მებრძოლები, რომლებიც მზად არიან ახალი ბრძოლებისათვის. ხალხით გაჭედილმა მოედანმა გზა დაუთმო და თავის ცოცხალ კორიდორში გაატარა ეს ადამიანები, ფიანდაზად ყვავილები გაუფინა ფეხქვეშ. ახალგაზრდა თაობა გამოხატავდა თავის სიყვარულს კომუნისტური პარტიისადმი, დიდ მადლობას უძღვნიდა სახელოვან რევოლუციონერებს, ოქტომბრის გამარჯვებისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის მებრძოლებს.

პარტიის ვეტერანები... წარმოვთქვამთ ამ სიტყვებს, და თვალწინ წარმოგვიდგება ჩვენი ლენინური პარტიის — საბჭოთა ხალხის მებრძოლი ავანგარდის ბრძოლისა და გამარჯვებათა გმირული გზა. XX საუკუნის გარიჟრაჟზე რუსეთში შეიქმნა ახალი ტიპის პროლეტარული პარტია — ბოლშევიკების პარტია. გამოხატავდა რა მუშათა კლასის, ყველა მშრომელის ძირეულ ინტერესებს, მან წამოაყენა ისტორიული ამოცანა — მოესპო ექსპლოატაციისა და ძალადობის სამყარო, მშრომელები დაერაზმა კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

დიდი ლენინის მიერ შექმნილმა და გამოწრთობილმა პარტიამ დარაზმა მასები მსოფლიოში უდიდესი პროლეტარული რევოლუციისათვის. პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა დაამკვიდრეს საბჭოთა ხელისუფლება, გაიარეს მკაცრი განსაცდელის ბრძმედში, აამენეს სოციალიზმი და ახლა მტკიცე ნაბიჯით მიდიან კომუნისტური მშენებლობის გზით. მსოფლიოში პირველი მძლავრი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნა პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის უმაგალითო გმირობაა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მუდამ მაღლა ეჭირა და უჭირავს თავისი ჩირაღდანი — მარქსიზმ-ლენინიზმი, მან შეისისხლხორცა ყოველივე პატიოსანი და მოაზროვნე, ვაჟკაცური და თავდადებული, რაც ჩვენს ხალხშია. ყველაზე მძიმე ჯამს, მისი საუკეთესო შვილები, არ უშინდებოდნენ რა არავითარ განსაცდელს, შედიოდნენ ლენინურ პარტიაში, რათა ებრძოლათ კომუნიზმის საქმისათვის.

ბოლშევიკთა პატარა შეკავშირებული ჯგუფი ხელიხელჩაკიდებული, ვ. ი. ლენინის მეთაურობით გამოვიდა ისტორიულ ასპარეზზე. მათ სეტყვასავით უშენდნენ ყუმბარებსა და ტყვიას. ზოგი მებრძოლი იღუპებოდა, მაგრამ მათს ადგილზე ასობით, ათასობით ახალი მებრძოლი დგებოდა. 1917 წლის მარტში, როცა პარტია იატაკქვეშეთიდან გამოვიდა, მის რიგებში 24 ათასი კომუნისტი იყო, ოქტომბერში კი, შეიარაღებული აჯანყების დღეებში, უკვე იყო 350 ათასი. მარტო 1919 წელს მოწყობილი „პარტიული კვირეულის“ დროს, როცა ცეცხლის რკალად უფრო იკვრებოდა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის გარშემო და დენიკინის არმიები მოსკოვისკენ მოდიოდნენ, პარტიის რიგები გაიზარდა 200 ათასზე მეტი კაცით. 240 ათასზე მეტი დაზგის მუშა მისცა პარტიას 1924 წლის „ლენინურმა გაწვევამ“, როცა მშრომელნი განიცდიდნენ მწუხარებას ილიჩის გარდაცვალების გამო.

დიდია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ვეტერანთა გზა, დიდია მათი გმირობა. სწორედ ისინი, ლენინური გვარდიის ჯარისკაცები, მუშათა კლასის საქმის, მარქსიზმ-ლენინიზმის დროშის უსაზღვროდ ერთგულნი, ძლევდნენ არალეგალური მუშაობის, კატორღისა და საპყრობილეების სიძნელეებს, მასებში მიჰქონდათ მარქსისა და ლენინის დიადი იდეები, მშრომელებს ამზადებდნენ ძველ სამყაროზე იერიშისათვის. ისინი, რევოლუციის რაინდთა სახელოვანი კოჰორტა, უტევდნენ ზამთრის სასახლეს, პირველნი იყვნენ პერეკოპის შტურმში, ეცემოდნენ კულაკთა ტყვიით განგმირულნი, ხელმძღვანელობდნენ ხუთწლედების დამკვრელურ რაზმებს, მკერდით აღუდგნენ წინ ფაშისტთა ურდოებს, დღისით და ღამით, ძალღონისა და სიცოცხლის დაუზოგავად იბრძოდნენ საბჭოთა საზოგადოების ძლიერების, მატერიალური და სულიერი სიმდიდრის გამრავლებისათვის.

„კომუნისტებო, წინ!“ — გაისმოდა მოწოდება, და ყველგან და ყოველთვის ბოლშევიკები უყოყმანოდ მიდიოდნენ ახალი სამყაროს დაცვისა და მშენებლობის ყველაზე მძიმე უბნებზე. პარტიის მიერ გამოზრდილმა პროლეტარული რევოლუციის თვალსაჩინო ორგანიზატორებმა, მისმა მხედართმთავრებმა და თეორეტიკოსებმა, მეცნიერებმა და პროპაგანდისტებმა, სამეურნეო ხელმძღვანელებმა, რიგითმა მშრომელებმა, კულტურის მოღვაწეებმა დიდი წვლილი შეიტანეს სოციალიზმის გამარჯვებაში.

საბჭოთა ადამიანები, ხაზგასმულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის, გამოთქვამენ დიდ პატივისცემასა და მადლობას რევოლუციისათვის, სოციალიზმისათვის მებრძოლებისადმი. ჩვენი ხალხისათვის მუდამ წმიდათა წმიდა იქნება ბოლშევიკ-ლენინელების, რევოლუციის გმირების, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის გმირების ხსოვნა. არასოდეს არ დავივიწყებთ პირველი ხუთწლედების მამაც მშენებლებს, იმათ, ვინც ქმნიდა და განამტკიცებდა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერებას.

პარტიის ვეტერანთა ცხოვრება და ბრძოლა ახალგაზრდა თაობებისათვის ნიმუშია. გორკის დანკოს მსგავსად, ისინი თავიანთი მაგალითით უხმობენ წინ, ასწავლიან უანგაროდ, საქმით და სიტყვით ახორციელებდნენ დედამიწაზე კაცობრიობის ყველაზე ნათელ ოცნებას — კომუნიზმს. მათი სახე, გამოცდილება და ცოდნა, რევოლუციური სიმტკიცე და თავდადებული შრომა პარტიისა და ხალხის ძვირფასი კუთვნილებაა, უზარმაზარი ძალაა კომუნისტური იდეალების დამკვიდრებისათვის ბრძოლაში. როგორც პოემა თქვა:

ფრანგ და ფართოდ
მიაქცევ
დროშა ლენინიზმისა
ილიჩის მიერ
გამოზრდილ
თანამებრძოლებს

და დღეს ვეტერანები გულით კვლავ ახალგაზრდები არიან. ისინი, როგორც ყოველთვის, ჩვენს პარტიულ მწყობრში არიან. ბევრი განაგრძობს მუშაობას, ახალგაზრდობას გადასცემს ლენინელთა სახელოვან რევოლუციურ, შრომითსა და საბრძოლო ტრადიციებს. ისინი კი, ვინც პენსიაზე გადის, განაგრძობენ აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობას. ისინი ახალგაზრდობის აღმზრდელები, პროპაგანდისტები და პოლიტინფორმატორები, მუზეუმების, ბიბლიოთეკების, წითელ მეკვლეთა რაზმების ორგანიზატორები, შთამბეჭდავი წიგნების ავტორები არიან.

ახლა, საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავის წინ, პარტიული ორგანიზაციები ცდილობენ კიდევ უფრო ფართოდ მოიზიდონ ძველი ბოლშევიკები, რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის მონაწილენი მასებში პოლიტიკური მუშაობისათვის. დიდი აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს შეხვედრები ვეტერანებთან. მათი ცოცხალი სიტყვა უაღრესად დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ახალგაზრდობაზე. და საჭიროა, რომ უფრო ხშირად იმართებოდეს ასეთი შეხვედრები, გამოსვლები პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით.

ვეტერანებმა პარტიისა და ხალხის საქმისადმი გმირული სამსახურით დაიმსახურეს ყურადღებანი, მზრუნველობითი დამოკიდებულება. სწორად იქცევიან იქ, სადაც ოქტომბრის 50 წლისთავთან დაკავშირებით პატივსა სცემენ მათ მშრომელთა კრებებზე, პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში. მთელ რიგ ადგილებში საზეიმოდ აღნიშნავენ ხოლმე ხალხის საქმისათვის, საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნას, უვლიან ძეგლებს, ობელისკებს, ძმათა სასაფლაოებს. ასე უნდა იყოს ყველგან.

პარტიის ვეტერანებმა სათუთად დაიცვეს რევოლუციის დიადი დროშა, ლენინიზმის დროშა. კომუნისტთა ახალი თაობების ვალია, ოქტომბრის რევოლუციურ ესტაფეტას რომ მიიღებენ, ატარონ იგი წინ ღირსეულად და მტკიცედ.

13 აგვისტო მშენებლის დღეა

მოგილოცავთ, მშენებლებო!

რესპუბლიკა ხარაჩოებში

გვესაუბრება საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი
გ. ვაშაკიძე

დიდი ადგილი უჭირავს მშენებლობას ცხოვრებაში. იგი საბჭოთა ადამიანების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, მატერიალური დოვლათის შექმნას ემსახურება. დღეს საბჭოთა მშენებლის დღეა. იგი წელს განსაკუთრებით აღინიშნება, რადგან თვითეულ მშენებელს საშუალება აქვს შეაფასოს განვლილი გზა, რომელიც ნახევარ საუკუნეს ითვლის.

რა მიღწევებით ხვდებიან იუბილეს მშენებლები? როგორია მათი გეგმები მიმდინარე ხუთწლედში? ამ კითხვებზე გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტს პასუხი გასცა საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრმა გ. ვაშაკიძემ.

— საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში მშენებლობამ, ისევე როგორც სახალხო მეურნეობის სხვა დარგებმა, ძალიან დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ცვლილებები, რაც მშენებლობაში განხორციელდა უკანასკნელი წლების მანძილზე.

თუ, მაგალითად, 1952 წელს საქართველოს მშენებლობის სამინისტროს ორგანიზაციების მიერ შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა 12 მილიონი მანეთით განისაზღვრებოდა, ახლა, 1967 წელს, სამინისტროს ორგანიზაციების კაპიტალური მშენებლობის მოცულობა განისაზღვრება 180 მილიონი მანეთით.

ჩვენი პარტიის მითითების შესაბამისად როგორც საქართველოში, ისე მთელ საბჭოთა კავშირში განხორციელდა მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის მტკიცე კურსი. თუ წინათ, ვთქვათ, საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ისე მიმდინარეობდა, რომ ყველა შრომითი პროცესი, როგორიც არის კვანძებისა და დეტალების დაყენება, უშუალოდ სამშენებლო მოედანზე წარმოებდა, ხოლო ბეტონი იქვე მზადდებოდა, ახლა სამრეწველო, საცხოვრებელი და სამოქალაქო მშენებლობა მიმდინარეობს ქარხანაში დამზადებული კონსტრუქციებისა და დეტალების ელემენტებით, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში მაღალი ხარისხისა არიან. დღეს ჩვენ აღარ ვაშენებთ ამ სიტყვის ძველი მნიშვნელობით, არამედ შენობას ვამონტაჟებთ წინასწარ დამზადებული დეტალებისაგან.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებს, რომლებიც თანამედროვე ინდუსტრიული მშენებლობის საფუძველია. თუ 50-იან წლებში სამონტაჟო სამუშაოებზე დახარჯულ ყოველ მილიონ მანეთზე გამოყენებული იყო 10-20 კუბური მეტრი ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები, 1966 წელს მათი გამოყენება სამას კუბურ მეტრამდე გაიზარდა. ასაწყობი რკინაბეტონის ფართოდ გამოყენებამ საშუალება მოგვცა თითქმის 10-ჯერ შევამცირებინა ხე-ტყის მასალის გამოყენება.

ახლა ჩვენს რესპუბლიკაში მოქმედებს სახლსამშენებელო ოთხი მსხვილი კომბინატი, რომლებიც წელიწადში 160-180 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის დამონტაჟების საშუალებას გვაძლევს. მსხვილპანელიანი სახლები, რომლებიც ამ კომბინატის პროდუქციით მონტაჟდება, გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე აგურით ნაგები შენობა. გარდა ამისა, საშუალება გვაქვს შევამციროთ შრომის დანახარჯები სამშენებლო მოედანზე და მნიშვნელოვნად დავაჩქაროთ მშენებლობის ვადები.

სულ უფრო ფართოდ ვიყენებთ კარკას-პანელიან მშენებლობას. ასეთი შენობის საყრდენი კონსტრუქცია იქმნება რკინაბეტონის კარკასით, რომელსაც შემოვლებული აქვს პანელები. ეს კი საშუალებას გვაძლევს ავაგოთ მაღლივი ნაგებობანი. ასე შენდება სასტუმრო „ივერია“ თბილისში, მთელი რიგი ადმინისტრაციული და საცხოვრებელი სახლები, ბიბვინთის კურორტი და სხვ. სამრეწველო ობიექტების მშენებლობისათვის წინასწარი დაძაბული რკინაბეტონის ფერმების ათვისებამ კარგი ეფექტი მოგვცა. მშენებლობაში მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვამ გამოიწვია მუშების კვალიფიკაციის მკვეთრი ამაღლება. თანამედროვე მშენებლობის მუშა რამდენიმე სპეციალობას ფლობს, მან მშენებლობის საფუძვლები იცის.

მშენებელთა მიზანია კვლავ გაზარდონ სამუშაოთა ხარისხი, უფრო ფართოდ გამოიყენონ მშენებლობის დაგეგმვის ახალი მეთოდები. ახლად შემოღებულმა ქსელურმა გრაფიკმა გვიჩვენა მისი უპირატესობა, რაც გვეხმარება გამოვნახოთ დამატებითი რეზერვები, შევამციროთ მშენებლობის ღირებულება და დრო.

საქართველოს მშენებლობის სამინისტროს მიერ შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა 1960 წელთან შედარებით 70 პროცენტით გაიზარდა, მიმდინარე ხუთწლედში კი ათვისებული იქნება ერთ მილიარდ მანეთამდე.

მთელი რესპუბლიკა ხარაჩოებშია, და თვითეული ობიექტის ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანდა. ამიტომ შეიძლება ვთქვათ, რომ შენდება ძალიან ბევრი, შენდება ისე, როგორც არასდროს წინათ.

მიმდინარე საიუბილეო წელი მეტად პასუხსაგებია. ისევე როგორც მთელი ხალხი, ჩვენც, მშენებლები, ვემზადებით ამ დიადი თარიღისათვის და ბევრ სასახარულო საჩუქარს ვუმზადებთ საშობლოს.

შენდება სოფელი

გვესაუბრება საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრი
შ. თათარაშვილი

საიუბილეო წელს საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სამუშაოთა მოცულობა შარშანდელთან შედარებით ოცდაათი პროცენტით გაიზარდა, ეს მნიშვნელოვანი ციფრია, თუმცა ნაწილობრივ ამასაც გამოიწვია ნახევარი წლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების საიჯარო გეგმების შესრულებაში ზოგიერთი ჩამორჩენა.

გაცილებით მეტია ზრდა კვარტალური გეგმების შესრულებაში. მიმდინარე წლის მეორე კვარტალის გეგმა 59 პროცენტით მეტია იმ სამუშაოთა მოცულობაზე, რომელიც პირველ კვარტალში შესრულდა.

გადაჭარბებით არის შესრულებული ნახევარი წლის გეგმა „საქსოფლმშენდუსტრიის“ სამრეწველო საწარმოთა მიერ. პროდუქციის გამოშვების საერთო გეგმა შესრულებულია 104,1 პროცენტით, აქედან რკინაბეტონის ნაკეთობებისა და კონსტრუქციებისა 102,5 პროცენტით, საკედლე ბლოკებისა 102,1 პროცენტით, ხის კონსტრუქციებისა 103 პროცენტით.

სოფლის მშენებლებს სათანადო ღონისძიებები გვაქვს დასახული, რათა მოკლე ვადაში და სწრაფად გამოვასწოროთ ის შედარებითი ჩამორჩენილობა, რაც სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, ხორცისა და რძის მრეწველობის და „განათლების სამინისტროების ხაზით გვაქვს.

მიმდინარე წელს უკვე გადავეცით საექსპლოატაციოდ 8,2 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, მსხვილფეხა პირუტყვის საფუძვლებში 573 სულისათვის, საცხვარეები 4.000 სული ცხვრისათვის, 1.100 ტონის ტევადობის მარცვლეულის საწყობები, 700 ტონის ტევადობის მინერალური სასუქების საწყობები, სათბურები, 40-საწოლიანი სამშობიარო სახლი, 100 ადგილიანი საბავშვო ბაღი და სხვ.

საკუთარი მშენებლობის გეგმა გადაჭარბებულია ყველა მაჩვენებლის მიხედვით. სამუშაოების კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა ათვისებულია 122,3 პროცენტით. მწყობრში ჩადგა ღილოს რკინაბეტონის ქარხნის დამატებითი სიმძლავრეები, რამაც საშუალება მოგვცა ნაწილობრივ გაგვფართოებინა სამშენებელო ინდუსტრიის ბაზა, რაც ესოდენ საჭიროა. მიღებულია ზომები, რათა კიდევ უფრო დავაჩქაროთ სამშენებლო ინდუსტრიის ბაზების მშენებლობა. მაგალითად, მარნეულის რკინაბეტონის ქარხანა უკვე წელს მოგვცემს პირველ პროდუქციას, თუმცა იგი სრული სიმძლავრით 1968 წლის პირველ კვარტალში ამუშავდება.

საჭიროა არა მარტო ახალი საწარმოო ბაზების შექმნა ან არსებულების გაფართოება, არამედ ახალი ტექნოლოგიის დანერგვა, ახალი პროდუქციის ათვისება და მისი სერიული გამოშვება. ღილოს რკინაბეტონის ქარხნის გაფართოებამ საშუალება მოგვცა აგვეთვისებინა წინასწარ დაძაბული 12-მეტრიანი კოჭების, სპეციალური დანიშნულების ფილებისა და გამტკიცებული ფოლადის არმატურის გამოყენება.

მიმდინარე წელს შეიქმნა და დაკომპლექტდა მექანიზაციისა და ტრანსპორტის სამმართველო, რომელიც აერთიანებს სამინისტროს ძირითად მანქანა-მექანიზმებს და ავტოტრანსპორტს. უახლოეს ხანში სამმართველო მძლავრ ტექნიკურ ძალად გადაიქცევა, ცენტრალიზაცია გამოიწვევს მანქანა-მექანიზმების ოპერატიულად და რენტაბელურად გამოყენებას.

სოფლის მშენებლების წინაშე დიდი და პასუხსაგები ამოცანებია. წელს უნდა დამთავრდეს და საექსპლოატაციოდ გადაეცეს ავჭალის სასათბურო მეურნეობა, ნორიოს და წყალტუბოს მეფრინველეობის ფაბრიკების ნაწილები, აბაშის ეთერ-ზეთოვანი ქარხნის სასათბურო მეურნეობა, წალკის ყველის ქარხანა და სხვ.

მიმდინარეობს ცამეტი სკოლის მშენებლობა, რომელთაგან ათი უკვე პირველ სექტემბერს მიიღებს პირველ მოწაფეებს. მალე დამთავრდება ხუთიდან სამი საბავშვო ბაღის მშენებლობა.

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სისტემის მუშაკები მთელი შეგნებითა და მონდომებით შრომობენ, რათა დიდი საიუბილეო-სამეურნეო წელი მაღალი მაჩვენებლებით დაამთავრონ.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერს ХОУ ენ-ლაის

პეკინი.

საბჭოთა მთავრობის მიმდინარე წლის 11 აგვისტოს ნოტის მიუხედავად, ჩინელი ხელისუფალნი არღვევენ საერთაშორისო სამართლის ელემენტარულ ნორმებს და აკავებენ საბჭოთა თბომავალ „სვირსკს“ დალნის ნავსადგურში. გემის კაპიტნის ამბ. კორჟოვისა და ეკიპაჟის წევრების მიმართ სჩადიან უხეში ძალადობის თვითნებურ აქტებს. კაპიტანი და ეკიპაჟის ზოგიერთი წევრი ძალით შეიპყრეს და გაიტაცეს გაურკვეველი მიმართულებით.

აღვირახსნილ პირთა ჯგუფი შეიჭრა გემზე, შემტვრიეს კარები, დაანგრიეს გემის სათავსები და მოწყობილობა, საფრთხეს უქმნის საბჭოთა მეზღვაურების სიცოცხლესაც. კ. ადგილობრივი ხელისუფალნი არ ახორციელებენ რაიმე ღონისძიებებს, რათა აღკვეთონ უკანონო და თვითნებური აქტები.

ეს მოწმობს, რომ ჩინეთის მხარე წინასწარი განზრახვით ცდილობს უფრო გაართულოს საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობა, სათუოდ ხდის საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის არსებულ სავაჭრო შეთანხმებათა შესრულებას.

საბჭოთა მთავრობა მოელის, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა დაუყოვნებლივ განახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოს ეკიპაჟის უშიშრობა, გემზე დაბრუნოს კაპიტანი და ეკიპაჟის სხვა წევრები, აგრეთვე უზრუნველყოს თბომავალ „სვირსკის“ შეუფერხებელი გამოსვლა დალნის ნავსადგურიდან.

მთელი პასუხისმგებლობა შედეგებისათვის ეკისრება ჩინეთის მხარეს.

ა. კოსიგინი,
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

მოსკოვი, კრემლი. 1967 წლის 12 აგვისტო.



ღირსეულად მშენდება ჩვენი დედაქალაქი. უკანასკნელ წლებში მრავალი ნაგებობით დამშენდა იგი. „ცათამბჯენები“ თბილისის თითქმის ყველა უბანში ამოიმართა. ამ სურათზე ერთ-ერთი მათგანია ასახული. მისი შენებლობა ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ჭავჭავაძის პროსპექტზე, ვაკის პარკთან. გამვლელის თვალს ახარებს მისი სიმაღლე.

 სურათზე: „თბილმრეწვმშენის“ № 3 ტრესტის მეორე სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მშენებლები (მარცხნიდან მარჯვნივ) — მუშები შ. კადიმოვი, ვ. კორხოვი, დურგალი დ. პეტრიაშვილი, მუშა ზ. ნუიკინა, სამუშაოთა მწარმოებელი გ. გოგიჩაძე, ათისთავი მ. ნადირაძე და მლებავი ი. კარაპეტიანი.

ფოტო გ. გოგოხიანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ავამაღლოთ პროფკავშირთა საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიჯეჯების როგორც მასების ორგანიზაჯორთა როლი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა, თუ როგორ მუშაობენ ქალაქ ჭიათურის პარტიული ორგანიზაციები პროფკავშირული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის საქმეში, ხელმძღვანელობენ რა სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებით, ჭიათურის პირველადი პარტიული ორგანიზაციები უფრო ღრმად სწვდებიან პროფკავშირულ ორგანიზაციათა მუშაობას, უკეთ წარმართავენ მათს საქმიანობას ხუთწლიანი გეგმის ამოცანების შესასრულებლად.

ქალაქის სამრეწველო საწარმოთა პროფკავშირული ორგანიზაციები, პროფკავშირის მაღაროთა კომიტეტები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ბეჯითად ცდილობენ, რათა ხელსაყრელი პირობები შექმნან წარმოების კულტურის ამაღლებისათვის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვისათვის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციისათვის. ლენინის ორდენოსანი ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მუშა-მოსამსახურეთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ინიციატივით რეპუბლიკაში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად.

ამის შედეგად ჭიათურელი მაღაროელები დიდი თარიღის წინ წარმატებით ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს. ამას მოწმობს ნახევარი წლის საწარმოო შაჩვენებლები. პროდუქციის გამოშვების გეგმა მაღაროელებმა ვადაზე თორმეტი დღით ადრე შეასრულეს, ჩვენმა ქვეყანამ დავალების დამატებით მიიღო ათეულათასობით ტონა მარგანეცის მადანი.

სულ ქალაქ ჭიათურის მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის გეგმას გადააჭარბა 7,6 პროცენტით, სამმობლომ გეგმის გადამეტებით მიიღო 930 ათასი მანეთის პროდუქცია. შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 7 პროცენტით გაიზარდა.

ხორციელდება მთელი რიგი ღონისძიებანი შრომის პირობების მშრომელთა სამედიცინო, საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების გასაუმჯობესებლად. მიმდინარე წელს დამთავრდება მეტალურგიული მრეწველობის მუშათა კულტურის სასახლის, 800 მოსწავლისათვის განკუთვნილი სამი ახალი სკოლის, 6 ათას კვადრატული მეტრი საერთო ფართობის კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლების შენებლობა.

ლენინის სახელობის, დიმიტროვის სახელობის, კალინინის სახელობის, ორჯონიკიძის სახელობის, ახალი ითხვისის, პერევისისა და სხვა მაღაროთასამმართველოთა პროფკავშირული ორგანიზაციები აქტიურად მონაწილეობენ წარმოების დაგეგმვის სრულყოფისა და ეკონომიური სტიმულირების ღონისძიებათა განხორციელებაში.

ამასთანავე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ არსებითი ნაკლოვანებანი და ხარვეზებია ქალაქ ჭიათურის ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაციის საქმიანობაში პროფკავშირულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობის საზით, განსაკუთრებით პროფკავშირული კადრების აღზრდისა და სწავლების ორგანიზაციის საქმეში. ზოგიერთი მაღაროს კომიტეტი ჯეროვნად არ ადასტებს შრომის სოციალისტური დისციპლინის დანერგვის დიდ მნიშვნელობას. მუშებთან, განსაკუთრებით ახალგაზრდებთან სუსტი აღმზრდელობითი მუშაობის შედეგად მთელ რიგ საწარმოებში ჯერ კიდევ დიდია კადრების დენადობა. მაგალითად, 1966 წელს გაათავისუფლეს 2684 კაცი, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში კი 1129 კაცი ანუ, საერთო შემადგენლობის 11,9 პროცენტი. სამუშაო დროის გაცდენამ მარტო ჭიათურის მარგანეცის ტრესტში შარშან 2.948 კაცდღე შეადგინა, მიმდინარე წლის ექვს თვეში კი 1370 კაცდღე. ხშირი იყო გაცდენები. ამის შედეგად სახელმწიფოს დაკაცდა ექვსი ათას ტონაზე მეტი მარგანეცის მადანი.

პროფკავშირული ორგანიზაციები ჯეროვნად არ ებრძვიან სახალხო დოვლათის დატაცებასა და მითვისებას. ზვარელმანი ქურდობისა და დატაცების შემთხვევები იყო ჭიათურის მარგანეცის ტრესტის სამშენებლო სამმართველოში, საქართველოს „შახტმშენის“ ჭიათურის სამმართველოსა და მთელ რიგ სხვა ორგანიზაციებში. ავგოსტარანსპორტო კანტორებში ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა შემთხვევები, როცა ავტოტრანსპორტს პირადი მიზნით იყენებენ.

არსებითი ხარვეზებია შიდაპროფკავშირულ მუშაობაშიც. ზოგიერთი საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტი არ მუშაობს მიზანდასახულად, არ თვალისწინებს საწარმოთა და ორგანიზაციათა სპეციფიკურ თავისებურებებს, ჯეროვნად არ ეყრდნობა აქტივს. სუსტად ხორციელდება ხელმძღვანელობა სამშრომლო ორგანიზაციებისა და პროფჯგუფებისადმი, მუდმივმოქმედი კომისიებისადმი, გამოშვებულთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოებისა და სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების ორგანიზაციებისადმი, მშრომელთა შემოქმედებითი გაერთიანებებისადმი. პროფკავშირთა კომიტეტები, მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტივები ყოველთვის როდი უთმობენ ჯეროვან ყურადღებას საწარმოთა წინაშე მდგომი უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაწყვეტას. საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის, ჯანმრთელობის დაცვის საქალაქო განყოფილების, № 20 პროფტექნიკური სკოლისა და სხვა პროფკავშირულ ორგანიზაციებში იშვიათად იწვევენ პროფკავშირულ კრებებსა და საწარმოო თათბირებს. ზოგიერთ საწარმოსა და ორგანიზაციაში ისინი გულდასმით არ არის მომზადებული. გადაწყვეტილებებს განხილულ საკითხზე ხშირად იღებენ კრებებზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გაუთვალისწინებლად. შესრულების შემოწმება არადამაკმაყოფილებლად წარმრმებს. „ჭიათურმარგანეცმშენის“ ტრესტის სამშენებლო სამმართველოში, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის სანაპირო სამმართველოში, მუშათა მიმართგების განყოფილებაში, პურის კომბინატსა და სხვა „დაწესებულებებში არ მუშაობენ მუდმივმოქმედი კომისიები.

• საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტებიდან ყველა როდი იყენებს სრულად მათთვის მინიჭებულ უფლებებს შრომის დაცვის, უსაშიშრობის ტექნიკის, მუშათა და მოსამსახურეთა ყოფაცხოვრების საკითხთა გადაწყვეტაში. ზოგიერთი მათგანი გვერდს უვლის ცალკეული სამეურნეო ხელმძღვანელების მიერ შრომითი კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებს, ჯეროვან პრინციპულობასა და სიმტკიცეს არ იჩენს კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულებაში, ბევრ საწარმოში კვლავ მაღალია საწარმოო ტრავმატიზმის დონე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტს, პირველად პარტიულ ორგანიზაციებს წინადადება მისცა განსახილველად, პროფკავშირული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობისა და მათ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებანი. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა იმას, რომ პროფკავშირული ორგანიზაციების ორგანიზატორული მუშაობის შინაარსი და გაქანება ხელს უწყობდეს მათს გაზრდილ როლს სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში, მუშათა და მოსამსახურეთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა დარაზმვაში სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის საბრძოლველად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დაავალა პროფკავშირულ ორგანიზაციებს გაუმჯობესონ მუშაობა სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის დარგში, უზრუნველყონ შეჯიბრების შედეგების ფართო საჯაროობა, დახმარება გაუწიონ მის მონაწილეებს დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში და, უწინარეს ყოვლისა, შრომის ნაყოფიერების გადიდებაში.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ უნდა ამაღლდეს საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი პროფკავშირული კომიტეტების როგორც მასების ორგანიზატორის როლი. საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტები უნდა ერკვეოდნენ წარმოების ეკონომიკაში, უნარიანად უკეთებდნენ ანალიზს საწარმოთა სამეურნეო საქმიანობას, წარმართავდნენ კოლექტივების მეცადინეობას იმისათვის, რომ რაც შეიძლება უკეთ

კოლხეთის ახალი სიცოცხლე

— რეპორტაჟი

ზაფხულია. მწვანედ ხასხასებს ცის დასალიერამდე გაშლილი კოლხიდის ველი. იგი ქართული ხალიჩასავით არის მოხატული ჩაით, დაფნით, მანდარინით, ლიმონით, ვაზით, ფეიჰოათი. გასცქერით ხეხილით და მწვანით შემოსილ კოპწია ეზოებსა და ოდა-სახლებს, გიტაცებთ კოლხიდის განახლებულ მიწაზე დამკვიდრებული ცხოვრება.

ფიქრებს ძველ დროში გადავყავართ. აი თითქოს კინოფირზე გაირბენს ჭაობებით დაფარული კოლხიდა — კოლოგებისა და ბაყაყების სამეფო. გაგონდებათ ქართველი პოეტის მოსდენილად ნათქვამი სიტყვები:

„დღედაღამ განუწყვეტელი
თქეშით, წვიმით და კოხითა
საუკუნოვან ჭაობში
იძირებოდა კოლხიდა“.

ახლა სადღაა ძველი კოლხიდა! იმ დიდი გარდაქმნების შემდეგ, რაც ოქტომბერმა მოუტანა ხალხს, კოლხიდის რელიეფი თითქმის მოლიანად შეიცვალა. არხებით დაიქსელა აქაურობა, ნაჭაობარზე მოვიდნენ ადამიანები, რომლებმაც მძლავრი სასოფლო-სამეურნეო არტელები, საბჭოთა მეურნეობები შექმნეს. აი ფოთის, პატარა ფოთის, ჭალადიდის, ახალსოფლის, ქვალონის, სუჯუნის, ზანათის, ანაკლიის, მზიურის, ხუმუშქურის, კოლხიდის განთიადის საბჭოთა მეურნეობები. ეს ხომ სავსებით ახალი მეურნეობებია ახალ მიწაზე.

რესპუბლიკა იცნობს ამ მეურნეობების შრომითს საქმეებს, მათი მუშები ახლებურად მუშაობის მაგალითს იძლევიან. ამჟამად ეს ადგილები ათასტონობით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს იძლევიან. შარშან დაშრობილ მიწებზე შიდასამეურნეო დამშრობი ქსელის კაპიტალურმა რემონტმა, ახლად დაშრობილი მიწების ეფექტურმა გამოყენებამ 1963 წელთან შედარებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოსავალი 62 პროცენტით გაადიდა.

ქვალონის მეცხოველეობისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობა ნაჭაობარზეა გაშენებული. გამრჯე ადამიანებმა, რომლებსაც ნიჭიერი ორგანიზატორი ვ. ბუკია ხელმძღვანელობს, გააშენეს ხეხილის, ტუნგოს, ჩაის, თუთის, დაფნის პლანტაციები. საკმარისია ითქვას, რომ ხუთწლედის ბოლოს აქ ჩაის პლანტაცია 768,57 ჰექტარზე იბინძინებს. მარტო წელს 60 ჰექტარზე გაშენდება. სუბტროპიკული კულტურების გასაშენებლად სწრაფად მიმდინარეობს ახალი მიწების ათვისება. წელს 350 ჰექტარზე ამოიძირკვება ტყე და „ბუჩქი. დაპლანტაჟდება 60 ჰექტარი. სერიოზული ყურადღება ექცევა ზედმეტტენიანი ფართობების დაშრობის საქმეს. გაიშმინდება არსებული წყალგამყვანი და წყალშემკრები არხები 40 კილომეტრზე, ამოღებულ იქნება 150 ათასი კუბმეტრი მიწა.

ტეხურის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი სოციალისტური შრომის გმირი დ. შამათავა) ყოველწლიურად მატულობს მოსავლიანობა და ფულადი შემოსავალი. იგი რეტაბელური მეურნეობაა. გასული წელი, ისევე როგორც წინა წლები, მეურნეობამ კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა. მოგება ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 144.909 მანეთისა მიიღეს 167.272 მანეთი. ზეგეგმითმა მოგებამ ათასობით მანეთი შეადგინა.

ახალ მიწაზე ყოველწლიურად ზრდიან მეცხოველეობის და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებას ჭალადიდის, პატარა ფოთის, ანაკლიის, ახალსოფლის, მზიურის მეცხოველეობისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობები. ეს ნათლად მეტყველებს, რომ კოლხიდაში გარდა სუბტროპიკული კულტურებისა, რენტაბელურია და დიდ შემოსავალს იძლევა მეცხოველეობა.

კოლხიდის თვალუწვდენელ მიწას ზაფხულის მზე აცხუნებს. ისმის მძლავრი ბულდოზერების, ექსკავატორების, მიწისსათხრელი მანქანების, სკრეპერების გუგუნი. ჭაობს ერკინება ასობით კუნთმაგარი ადამიანი. შრომა და სიცოცხლე ჩქეფს შაგი ზღვისპირას ვეშაპივით გაწოლილ კოლხიდის ველ-მინდვრებზე, რომელსაც 220 ათასი ჰექტარი უჭირავს. აქედან 90 ათასი ჰექტარი მიმდინარე ხუთწლედში უნდა ჩაგდეს ხალხის სამსახურში. ეს კი დიდ შრომას, მთელი ძალების დაძაბვას მოითხოვს.

ტრესტ „კოლხიდმშენში“, რომელიც ქალაქ ფოთშია, ყოველ დილით, ვიდრე მუშაობა დაიწყებოდეს, თავს იყრიან მშენებლები. ტრესტის მმართველი ბ. კვატაშიძე, მთავარი ინჟინერი გ. ლაკირბაია, პარტორგანიზაციის მდივანი მ. ხორავა, ხობის მექანიზაციის სამმართველოს უფროსი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი ი. ბერიშვილი, კოლხეთისა და ზუგდიდის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსები გ. ჯაფარიძე და მ. ბაღიშვილი მშენებლობის ავ-კარგზე მსჯელობენ, წინა დღის მუშაობის შედეგებს აჯამებენ, კარგს ეწონებენ, ნაკლოვანებათა დასაძლევად ქმედით ღონისძიებებს სახავენ. მშენებლებს მომდევნო დღის დავალება ეძლევათ.

შარშან ამ დროს ვიყავით მშენებლებთან. მას შემდეგ ბევრი რამ გაკეთებულა. დამთავრების პროცესშია დიუკერები მდინარეების ცივის, ტეხურისა და ნოღელას მიდამოებში. დიდ ფართობზე შესრულდა რკინაბეტონის სამუშაოები. მდინარეები ისევ ზედაპირზე მიედინებიან, მაგრამ სამომსახურეო ხიდია გადებული. მდინარეების ქვეშ ნაგებობებში-დიუკერებში ჭარბი, ნაწვიმარი წყალი გადის. ამჟამად მიმდინარეობს მიმყვანი არხების მშენებლობა და ჯებირების პროფილში მოყვანა.

გეგალვიან დროს პლანტაციებისა და ყანების მორწყვის საშუალება რომ იყოს ,ტრესტ „კოლხიდმშენის“ მმართველის ბ. კვატაშიძის წინადადებითა და პროექტით დიუკერების შუა ნაწილში მოწყობილია წყალმიმღებები, რომლებსაც შეუძლიათ დამოუკიდებლად წყლის მიღება მდინარეებისაგან და გაშვება დასაშრობ ქსელში, ამ უკანასკნელიდან კი არსებული მექანიზმებით პლანტაციების მორწყვა.

მალე საექსპლოატაციოდ გადაეცემა მდინარე ცხენისწყლის სათავე ნაგებობა, რომელიც გაათანაბრებს წულუჩიძის რაიონის 15.800 ჰექტარი სარწყავი ფართობისათვის წყლის მიღების პირობებს. 2.130 ჰექტარი ჩის პლანტაცია გასარწყავდება ძირითადად წალენჯიხისა და მახარაძის რაიონების ჩაის საბჭოთა მეურნეობებში.

საიუბილეო წელს „კოლხიდმშენი“ შეასრულებს 7 მილიონ ხუთას ათასი მანეთის სამუშაოებს. აქედან ყველაზე მეტი სამუშაო მოდის აფხაზეთის სამშენებლო-სამრეწველო სამმართველოზე, რომელიც გალის რაიონშია. სამმართველოს (უფროსი ზ. გაბლიანი) წელს 3 მილიონ 200 ათასი მანეთის სამუშაო უნდა შეასრულოს. დაშრობითი სამუშაოები ძირითადად მიმდინარეობს ენგურ-ხუმუშქურისა და ხუმუშქურა-ოქუმის მასივზე. რეკონსტრუირებული იქნება 3.500 ჰექტარი და ახალი ფართობი დაშრება 1.030 ჰექტარზე. რეკონსტრუირებულ და დაშრობილ ფართობებზე მომავალი წლიდან გაშენდება ქვემო და ზემო ბარღლის საბჭოთა მეურნეობები, რომელთა მაპროფილებელი ძირითადად ჩაის კულტურა იქნება.

არსებული პროექტის მიხედვით მარტო გალის რაიონში მოეწყობა 12.500 ჰექტარი მიწის რეკონსტრუქცია და 5 ათას ჰექტარზე ახალი მიწების დაშრობა, რის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 13 მილიონ მანეთს შეადგენს. სიდიდე ჩაის საბჭოთა მეურნეობაში აშენდება სარწყავი სისტემა, რომელიც მორწყავს 600 ჰექტარ ჩაის ფართობს. ამ სამუშაოებზე კი 350 ათასი მანეთი დაიხარჯება. მუშაობა გაშლილია მთელი ფრონტით. ექსკავატორები, ბულდოზერები, ამომძირკველები, სატრანსპორტო მანქანები, ავტომანქანები — უამრავი ტექნიკა, მისი, ადამიანები ალაონიდან გგიან ღამემდე მუშაობენ.

ბრგე, კუნთმაგარი ვაქაცი ექსკავატორის საჭესთან ზის და მაგიტრალურ არხს ჭრის. ოდნავი უზუსტობა, და არხი გამრუდდება. ეს კი დაუშვებელია. ამასთან არხის ძირი და კედლები ისე უნდა მოსწორდეს, რომ თოხი და ბარი არ დასჭირდეს. წინაადმდეგ შემთხვევაში შრომის დანახარჯები მეტი იქნება, მშენებლობა გაძვირდება და მუშახელსაც მეტს მოითხოვს.

კოლხიდაში საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სპეციალიზებული მექანიზაციის ტრესტის ხობის მექანიზაციის სამმართველოს სამუშაოთა დიდი ნაწილი ჯერ კიდევ შესასრულებელი აქვს. ჩვენს კითხვაზე, თუ რა გაკეთეს შარშან, რას აპირებენ საიუბილეო წელს, პასუხის გასაცემად წუთითაც არ ჩაფიქრებულა სამმართველოს უფროსი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი ი. ბერიშვილი. მან იქ მყოფთ გადახედა და გვითხრა: შარშან სამმართველომ 1 მილიონ 433 ათასი მანეთის ნაცვლად 1 მილიონ 589 ათასი მანეთის სამუშაო შეასრულა. ჩამორჩენა მიმდინარე წელსაც არა გვაქვს, მაგრამ საიუბილეო წელი მეტს გვავალებს. წელს კოლხიდაში შეასრულებთ 1 მილიონ ხუთასი ათასი მანეთის სამუშაოებს გეგმით გათვალისწინებული 1 მილიონ 360 ათასი მანეთის ნაცვლად. გეგმის ზევით სახელმწიფოს მივცემთ ორას ათას მანეთ მოგებას.

საბჭოთა მეურნეობების დირექტორებთან ვ. ბუკიასთან, დ. შამათავასთან, შ. ძნელაძესთან, რ. სესყურიასთან, კოლხიდის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსთან გ. ჯაფარიძესთან და ამ სამმართველოს ცხაკაის უბნის უფროსთან ვ. სანიკიძესთან ერთად ვათვალიერებთ ქვალონის, ტეხურის, ჭალადიდის და პატარა ფოთის საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიებს. გული სიხარულით გეგსებათ, რომ ნახავთ ჭაობისთვის გამოტაცებულ მიწაზე გახარებულ სუბტროპიკულ კულტურებს. ყველგან სამამულო მარკის მანქანები გუგუნებენ. სახელოვანი ადამიანები მინდვრად გამოსულან, ახარებენ ახალ ნაგრს ახალ მიწაზე.

— ეს ადგილები გაუვალი ჭაობა იყო, — იგონებს ერთ ეპიზოდს გ. ჯაფარიძე, — სხვებთან ერთად მეც მხვდა ბედნიერება კოლხიდის პირველ დამშრობთა რიგებში ვყოფილიყავი. ეს იყო 1933 წელს. მაშინ ერთი ექსკავატორი და 4 ტრაქტორი გვქონდა. არხის გასაჭრელად ჭაობში შეყვანილი ექსკავატორი ჩაგვეძირა. მოვიტანეთ ერთი ტრაქტორი, ჭაობში შესვლამდე ერთი მეტრის სიღრმის თხმელის ბალიში მოვუმზადეთ და ისე გავიყვანეთ ექსკავატორამდე. მანქანა მოვუბით, მაგრამ, — შენც არ მომიკვდე, — ისიც ჭაობში ჩაიფლო. მეორე ბალიშიც მოვუმზადეთ, მაგრამ მეორეც და მესამეც ჩაიფლო. დაგვრჩა ერთი ტრაქტორი. ახლა კი რამდენიმე მეტრი ჭაობი მთლად მოვფუნეთ თხმელის უფრო სქელი ბალიშებით და თითო-თითოდ ძლივს გმოვიყვანეთ ტრაქტორები და შემდეგ — ექსკავატორი. ვისაც არ უნახავს, ძნელი დასაჯერებელია ყოველივე ეს.

რა შედარებაა წინანდელ და ახლანდელ ტექნიკას შორის. ამჟამად კოლხიდის ჭაობის დაშრობაზე ასობით ექსკავატორი, ბულდოზერი, ტრაქტორი და სხვა სახის მძლავრი მანქანები მუშაობს.

ცხრათვალა მზე შავი ზღვის ტალღებში ჩაიძირა. ილიჩის ნათურებმა გააჩიროდნა ჭაობს გამოტაცებული ახალ მიწაზე გადაშლილი სოფლები. მთელი დღის ნაჯაფი მექანიზატორები მხიარულობენ, მღერიან, ცეკვავენ, ისინი უმღერიან ხვალინდელ დღეს, უფრო ნათელსა და უკეთესს!

ი. გოგებაია,
გ. ნოდია,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტები.

ხალხის ფიქრი და გულისთქმა

ოქტომბრის იუბილესთვის მზადება მასების პოლიტიკური აქტივობისა და შრომითი ენთუზიაზმის ვითარებაში მიმდინარეობს. ამას ხელს შეუყობს საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ის დიდი მუშაობა რასაც ისინი ეწევიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო თეზისების პროპაგანდისა და განმარტებისათვის.

პარტიის „ეს თეზისები ჩვენი ხალხის ფიქრი და გულისთქმაა, ასეთია დედააზრი მკითხველთა იმ წერილებისა, რომლებსაც „კომუნისტის“ რედაქცია იღებს იუბილესთვის მზადების დღეებში.

აი რას გვწერენ ჩვენი მკითხველები.

ი. წინწკალაძე (ახალქალაქი): თეზისების მთელ შინაარსს გასდევს ძირითადი იდეა იმის შესახებ, რომ კაცობრიობის სოციალურ-ეკონომიური და სულიერი განთავისუფლება, მისი ყოველმხრივი პროგრესი შესაძლებელია მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის გზით. თეზისები იქცა ყოველდღიურ სასაუბრო თემად.

თეზისების შესახებ სოფელ მაჭატის მეჩრომელთა შორის საინტერესო საუბარი მოწყო სკოლის დირექტორმა ე. შორნიანაძე.

ბ. ძობალია (ზუგდიდი): ჩვენს რაიონში მაღალ დონეზე მიმდინარეობს პარტიის საოქტომბრო თეზისების პროპაგანდა, ეწყობა ლექციების ციკლი. მაგალითად, დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი ლექციები „ბოლშევიკების პარტია — ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი“, „ოქტომბრის იდეათა გავლენა მსოფლიო რევოლუციური პროცესის განვითარებაზე“.

დ. ზედგინიძე (ასპინძა): პარტიის შუამაგონებელ დოკუმენტს — თეზისებს, „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი“ — ღრმად სწავლობენ რაიონის მშრომელები.

საქმიანად ჩაიარა თათბირ-სემინარმა, რომელსაც დაესწრნენ პარტიული ორგანიზაციების მდივნები, ლექტორები, პროპაგანდისტები, პოლიტინფორმატორები. ჩვენი პარტიის თეზისების მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გააკეთა პარტიის ასპინძის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ს. მამუკაშვილმა.

ტ. მუმლაძე (ახალციხე): მე აწყურის საბჭოთა მეურნეობის მწველავი ვარ. თეზისებს რომ გავეცანი, „ული სიხარულით“ ამევსო.

როგორც იტყვიან, „ოქროს იუბილე“ გვიახლოვდება. ამიტომ სულ იმის ფიქრში ვარ, რომ ამ დღესასწაულს სახელოვნად შევხვდე. პირობას ვდებ თვითეულ საფურაე ძროხაზე მივიღო 2.000 კილოგრამი რძე — შარშანდელზე 200 კილოგრამით მეტი.

თეზისების გამო აღტაცებასთან ერთად თავიანთ შრომითს წარმატებებზე გვწერენ ახალციხის აქატ-დიატომიტის მაღაროთა სამმართველოს დირექტორი **რ. ქინწაძე,** ახალციხის ქვანახშირის მაღაროთა სამმართველოს № 1 შახტის მნგრეველი **ა. ჯვარიძე,** ავრეთვე ადიგენის რაიონიდან **ნ. კიკალიშვილი, მ. ბუიძე, ხ. პეტაშვილი, ზ. მიშველიძე.**

საიუბილეო დღიური

შეხვედრები ვეტერანებთან

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალს ესტუმრა 50 კოლმეურნე-ექსკურსანტი გორის რაიონის სოფელ ფლავიდან. ექსკურსიას ხელმძღვანელობდა შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სოფელ ფლავის კოლმეურნეობის ლენინის ორდენოსანი თავმჯდომარე შოთა ეცადაშვილი.

ორმოცდაათი მოწინავე კოლმეურნე დიდი ინტერესით გაეცნო ექსპონატებს, სხვა ძვირფას მასალებს, რომლებიც მკაფიოდ ასახავენ ოქტომბრის ბელადის ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

მუზეუმში მოეწყო ამ ჯგუფის შეხვედრა რევოლუციის ვეტერან ძველ ბოლშევიკ თედო შავიშვილთან; ის მეტად საინტერესო მოგონებით წარსდგა კოლმეურნე-ექსკურსანტების წინაშე. შეხვედრა გულთბილი იყო.

ქ. ქორიძე.

◆

ზნაური. სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებს მიეძღვნა თეორიული კონფერენცია, რომელიც ყორნინას სასოფლო კლუბში გაიმართა. მოხსენება „რევოლუციური მოძრაობა სამხრეთ ოსეთში“ გააკეთა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ი. ცხოვრებოვმა.

კონფერენციის მონაწილეთა წინაშე საინტერესო მოგონებებით გამოვიდნენ ძველი ბოლშევიკები ლ. თედეევი, ლ. ვალიევი, გ. პარასტაევი, კ. ჯანაევი.

თეზისების დიდ შუამაგონებელ ძალაზე, ლენინური პარტიისადმი ყორნისელთა მადლიერების გრძნობებზე ილაპარაკეს სოფლის მკვიდრებმა ხ. ტასოევმა, ს. ჩეხოევმა, ა. ძუნოვმა.

ე. ჯიოევი.

რევოლუციონერის სოფელში

თერჯოლა. საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს აჯანეთის სილიკატური აგურის ქარხნის კოლექტივმა ექსკურსია მოაწყო გამოჩენილი რევოლუციონერის სერგო ორჯონიკიძის მშობლიურ სოფელ ღორეშაში.

ექსკურსანტებმა ინტერესით დაათვალიერეს დიდი ლენინის მოწაფისა და თანამებრძოლის ს. ორჯონიკიძის სახლ-მუზეუმი. სერგოს რევოლუციურ საქმიანობაზე დამთვალიერებლებს ესაუბრნენ მისი ძმა ივანე და რძალი, მწერალი თამარ ჩხაიძე.

დ. გვენეტაძე.

სტუმრად კაჭორღელთან



სოხუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ერთ დღეს ჯარისკაცები ეწვევნენ. დათვალიერებისას მათი ყურადღება ყველაზე მეტად 1905-1907 წლების რევოლუციურ ბრძოლაში რუსეთის პროლეტარიატის მოწინწილეობისადმი მიძღვნილმა სტენდმა მიიქცია. ჯარისკაცები დიდხანს შეყოვნდნენ შემინულ სტენდთან, რომელშიც ოკინის ბორკილი ინახებოდა. წარწერა მნახველთ ამცნობდა, რომ ამ ბორკილს ერთ დროს პოლიტიკური კატორღელი მოსე ტიმოთეს-ძე კილურაძე ატარებდა.

— ჯამილ, შეხედე, სტენდზე მოსე ტიმოთეს-ძის სურათის გვერდით მისი რევოლუციონერი ძმის რაფდენის ფოტოც არის, — გადაულაპარაკა მეგობარს რიგითმა ჯარისკაცმა რუსტამოვმა.

— დიახ, — ყური მოჰკრა ნათქვამს ექსკურსიამძღოლმა, — ფოტოსურათზე მოსეს უფროსი ძმა, რევოლუციონერი რაფდენ ტიმოთეს-ძე კილურაძეა. იგი ამჟამად ცოცხალი აღარ არის. მოსე კი, რომლის ბორკილსაც თქვენ უყურებთ, პენსიონერია და ჩვენს ქალაქში ცხოვრობს.

სოხუმში ცხოვრობსო? მაშ შესაძლებელი ყოფილა მისი ნახვა! და მეგობრძოლებმა გადაწყვეტეს სწვეოდნენ იმ ადამიანს, რომელმაც სამშობლოს ნათელი მომავლისათვის ბრძოლის ძმიმე და სახელოვანი გზა განელო.

ჯარისკაცებმა მეთაურს თავიანთი გადაწყვეტილება გაანდეს. ოფიცერმა მათ ინიციატივა მოწონა. დაიწერა პატაკი, რომელშიც პირადი შემადგენლობა აწერეს ბოდა ძველ რევოლუციონერს, რომ წმიდად ინახავს მამა-პაპათა რევოლუციურ ტრადიციებს, ფიზიზლად დგას საყვარელი სამშობლოს სადარაჯოზე და მონდომებით ემზადება საბჭოთა ხელისუფლების დიადი იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის. ამ პატაკითა და თაიგულით გაემართნენ ისინი ძველი რევოლუციონერის სანახავად.

მოსე ტიმოთეს-ძემ გულთბილად მიიღო ჯარისკაცები. იგი უკვე ოთხმოცდაშვიდამეტე წელშია გადამდგარი, მაგრამ ჯერ კიდევ მხნედ გამოიყურება. მოულოდნელმა სტუმრობამ დააბნია მოხუცი, დატრიალდა, აღარ იცოდა რით გამასპინძლებოდა მათ.

უმცროსმა სერჟანტმა ლეონიდ დეგტიარევმა წაიკითხა ადრესი, ხოლო ეფრეიტორმა ვაკიფ რუსტამოვმა ვეტერანს თაიგული გადასცა. მასპინძელი აღფრთოვანა „ჯარისკაცთა ყურადღებამ მისდამი.

— ჩემთვის სასიამოვნოა თქვენი პატაკის მოსმენა, — თქვა კილურაძემ. — სასიხარულოა, რომ თქვენ, ჯარისკაცებიც, ღირსეულად ეგებებით ოქტომბრის რევოლუციის დიად იუბილეს...

დიდი და მძიმე ცხოვრება უზიდავს მზრდელთ კილურაძეს. საოჯახო ცხოვრებაც ადვილი და საამბობიც ბევრი აქვს. მან გაიხსენა 1905 წელი, ამიერკავკასიის პროლეტარიატის გამოსვლა. იმ დროს მ. კილურაძე კაპიტალისტებთან მუშაობდა, რომელსაც გაგრის მთიანი გზა გაჰყავდათ. აუტანელი იყო მუშათა მდგომარეობა: ორიოდე გროშისათვის გამთენიიდან გვიან ღამემდე თავაუღებლად ოფლს ღვრიდნენ. დაცვის უფროსი, ყაზდარმთა პოლკოვნიკი ვიღაც შერემეტიევსკი მკაცრად უსწორდებოდა იმათ, ვინც გაბედავდა და კრინტს დაძრავდა გაკირვებაზე. ასეთებს მათრახით უჰრელებდნენ ზურგს .. და ბნელ კაზემატებში ყრიდნენ. მეფის სატრაპების ხელი არც მოსე კილურაძეს ასცდენია. ერთხელ კი კინაღამ სული ამოხადეს ცემით და გონშიხდილი ციხეში ჩააგდეს. მაგრამ დემოკრატთა პროგრესული ჯგუფის დახმარებით თავს აღწევს პატიმრობას და სოხუმს მიემგზავრება, სადაც იმ ხანებში იატაკქვეშეთში რევოლუციურ მოღვაწეობას ანაღებს სერგო ორჯონიკიძე.

იმ შფოთიან დღეებში პეტერბურგიდან სამწუხარო ამბავი მოვიდა: რევოლუციურ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობისათვის დახვრიტეს მოსეს ბიძაშვილი ლავროსი კილურაძე — პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი.

ამან უფრო გაამძაფრა მოსე კილურაძის სიძულვილი ცარიზმისადმი. იგი თვალს უხელს თავის ამხანაგებს ცხოვრების წელი, ამიერკავკასიის პროლეტარიატის გამოსვლა. იგი ამჟამად ოთხმოცდაშვიდეს წელშია გადამდგარი, მაგრამ ჯერ კიდევ მხნედ გამოიყურება. მოულოდნელმა სტუმრობამ დაბნია მოხუცი, დატრიალდა, აღარ იცოდა რით გამასპინძლებოდა მათ.

უმცროსმა სერჟანტმა ლეონიდ დეგტიარევმა წაიკითხა ადრესი, ხოლო ეფრეიტორმა ვაკიფ რუსტამოვმა ვეტერანს თაიგული გადასცა. მასპინძელი აღფრთოვანა „ჯარისკაცთა ყურადღებამ მისდამი.

— ჩემთვის სასიამოვნოა თქვენი პატაკის მოსმენა, — თქვა კილურაძემ. — სასიხარულოა, რომ თქვენ, ჯარისკაცებიც, ღირსეულად ეგებებით ოქტომბრის რევოლუციის დიად იუბილეს...

დიდი და მძიმე ცხოვრება უზიდავს მზრდელთ კილურაძეს. საოჯახო ცხოვრებაც ადვილი და საამბობიც ბევრი აქვს. მან გაიხსენა 1905 სინამდვილეზე და ათ რევოლუციისთვის მეოგარ მებრძოლებად ამზადებს. მისი ხელმძღვანელობით აჯანყებულმა მუშებმა მოკლეს შერემეტიევსკი და გაფანტეს დაცვა.

გაგრაში მოსე ტიმოთეს-ძემ შეიტყო, რომ ოხრანკამ სპეციალური საქმე გახსნა მეფის ჯალათის მკვლელთა გამოსაძიებლად. კილურაძემ ისიც შეიტყო, რომ ამათაგანს სულ ცოტა ასი კაცი იქნებოდა სამართალში მიცემული. მან თავის რამდენსამე მამაც ამხანაგს „გაგრის საქმის“ მოპარვის განზრახვა გაანდო. ამ მეტად სარისკო და საშიშ ოპერაციაზე მასთან ერთად წავიდნენ ფრანც ულანოვსკი, ილია ჩეჩკინი და ფარნაოზ ჯიქია. ისინი ღამით შეიპარნენ ოხრანკის შენობაში, მოიტაცეს და გაანადგურეს ჩემოდანი, რომელშიც მუშათა გაგრისა და სოჭის გამოსვლების დოკუმენტები ინახებოდა. ამან ბევრი გადაარჩინა, მაგრამ ოცდათი მუშა მაინც დაიპატიმრეს, გაასამართლეს, ბორკილები დაადეს და ხერსონის გუბერნიის საკატორღო ციხეში უკრეს თავი.

სხვაც ბევრი რამ უამბო იმ დღეს ჯარისკაცებს მასპინძელმა. კერძოდ, ის, თუ როგორ აწამებდნენ რევოლუციონერებს კატორღაში. თვითონ მას თებერვლის რევოლუციამდე მოუხდა ბორკილების თრევა.

სოხუმში დაბრუნების შემდეგ მოსე ტიმოთეს-ძე ებრძვის მენშევიკებს და აქტიურ მონაწილეობას იღებს ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საქმეში. პენსიაზე გასვლამდე მუშად მუშაობს სოხუმის ნავსადგურში.

დიდი გულისყურით ისმენდნენ ჯარისკაცები ძველი რევოლუციონერის ყოველ სიტყვას. მოსე ტიმოთეს-ძემ მათ გაუგიოლებელი ბროშურა „გაგრის საქმე“ უჩვენა, რომელიც პოლიტკატორღელთა საზოგადოებამ 1933 წელს გამოსცა თბილისში. ბროშურა ხელიდან ხელში გადადიოდა.

მასპინძელთან გამოთხოვებისას მათ ბირობა დადეს, რომ ძალღონეს არ დაიშურებენ საბჭედრო ოსტატობის ასაპაღლებლად ჩვენი ქვეყნის სამხრეთი საზღვრების დაცვისათვის.

მაიორი
ა. პავლოვსკი.

• • •

სურათებზე (მარცხნივ) — მეკავშირე მეომრები სტენდთან „1905-1907 წლების რევოლუციური ბრძოლის მონაწილენი“ ათვალიერებენ რევოლუციონერ მოსე ტიმოთეს-ძე კილურაძის ბორკილს; (ზემოთ) მ. კილურაძე უამბობს მეომრებს, გაგრისა და სოჭის მუშები როგორ ეწეოდნენ რევოლუციურ ბრძოლას მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ 1905 წელს.

ფოტო ე. ბარშახისა.

ჰპარტიის ვეტერანები

მოგონებელთა დღესასწაული

საქართველოს მშენებლებმა ზეიმით აღნიშნეს თავიანთი ტრადიციული დღესასწაული. 12 აგვისტოს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში შეიკრიბა ყველა, ვინც აშენებს სახლებსა და სკოლებს, სამრეწველო საწარმოთა კორპუსებსა და მიდროელექტროსადგურების კაშხალებს, საავადმყოფოებსა და კულტურულ დაწესებულებებს.

მშენებლის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრების პრეზიდიუმში არიან ამხანაგები შ. დ. კიკნაძე, ო. ი. ლოლაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ბ. ლაბახუა, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი გ. ხ. ვაშაკიძე, სასოფლო მშენებლობის მინისტრი შ. მ. თათარაშვილი, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშაობა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე გ. გ. ცხოვრებაშვილი, საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი ხ. ხ. ლორთქიფანიძე, მშენებლობათა და საწარმოთა ხელმძღვანელები, წარმოების ნოვატორები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მოხსენება მშენებლის დღის შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ო. გ. თუბარელმა.

დასასრულ გაიმართა კონცერტი. (საქდესი).

ღანესლა საპატიო წოდება „სსრ კავშირის სახალხო არქიტექტორი“

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1967 წლის 12 აგვისტოს ბრძანებულებით დააწესა საპატიო წოდება „სსრ კავშირის სახალხო არქიტექტორი“. ამ წოდებას მიანიჭებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი განსაკუთრებული დამსახურებისათვის საბჭოთა არქიტექტურის განვითარებაში, თვალსაჩინო შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის ქალაქთმშენებლობის დარგში, იმ თანამედროვე სამოქალაქო, სამრეწველო და სასოფლო ნაგებობათა შექმნისათვის, რომლებმაც საერთო სახალხო აღიარება მოიპოვეს. დებულებაში საპატიო წოდების შესახებ ნათქვამია, რომ მისი მინიჭება ხდება სსრ კავშირის სახმშენის, სსრ კავშირის სახმშენთან არსებული სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტის და სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის გამგეობის წარდგენით. იმ პირებს, რომლებსაც მიენიჭებათ „სსრ კავშირის სახალხო არქიტექტორის“ წოდება, გადაეცემათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი. (საკდესი).

ბოლშევიკის ნათელი გზა

ბევრი აღარ დარჩენია რვა ათეულ წლამდე, მაგრამ მაინც მხნედ გამოიყურება. წელთა სიმრავლეს ვერ გაუტეხია. ახალგაზრდული სიხარულით შესცქერის ჩვენს დიად მიღწევებს. იმ წარმატებებში, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებამ სახელოვანი ორმოცდაათი წლის მანძილზე მოიპოვა, მისი წვლილიც არის.

ესტატე მგელაძე რევოლუციური ოჯახიდან არის გამოსული. აცანელი გლეხის ნიკოლოზ მგელაძის ოჯახისათვის უცხო არ იყო მოწინავე რევოლუციური იდეები. იქ თავს იყრიდნენ რევოლუციონერები გეორგი ტუსკია, მირიან ჭანტურიშვილი და სხვები. იწვევდნენ გლეხთა კრებებს, კითხულობდნენ მეფისა და მემამულეების საწინააღმდეგო პროკლამაციებს. ახალგაზრდა ესტატე დიდი გულისყურით ისმენდა რევოლუციონერთა საუბრებს.

მკვირცხლი, გაბედული, ხალი გონების ბიჭუნასათვის უკვე ნათელი ხდებოდა და თანდათან უმტკიცდებოდა რწმენა, რომ საჭირო იყო ბრძოლა, ბრძოლა ადამიანური უფლებების მოპოვებისათვის, შრომელთა კეთილდღეობისათვის.

პირველი ნამდვილი რევოლუციური ნათლობა ესტატეს ცხოვრებაში 1905 წლის გაზაფხულზე მოხდა. ესტატე, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ რევოლუციური განწყობილებით აღფრთოვანებული, აწყობს სოფელ აცანის სკოლის მოწაფეთა გაფიცვას. გაფიცვა, მართალია, პატარა მასშტაბისა იყო, მაგრამ მან რევოლუციური გავლენა მოახდინა გლეხობაზე. გაფიცულებმა დახიეს მეფის სურათი, ალმართეს წითელი დროშა... ეს მეტად გაბედული ნაბიჯი იყო.

გურული გლეხობა 1905 წლის აჯანყებების ბობოლა ალაფდა. ესტატე მგელაძეს ეს ამბავი ბევრჯერ ესმოდა ბავშვობიდან. ბებიამ, ბაბუამ, ბიძებმა, ბიძაშვილებმა, ნათესავებმა, ოჯახის ნაცნობებმა ბევრჯ

საერთაშორისო ცხოვრება

საბჭოთა კავშირის დელეგაცია კანადაში გაემგზავრა

მონრეალის მსოფლიო გამოფენაზე სსრ კავშირის ეროვნული დღის ზეიმში მონაწილეობისათვის, რომელიც 1967 წლის 15 აგვისტოს გაიმართება, აგრეთვე კანადის ფედერაციის 100 წლისთავთან დაკავშირებით, 12 აგვისტოს ოტავაში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **დ. ს. პოლიანსკი.** (საკდესი).

ჩინეთის ხელისუფალთა პროვოკაციები

11 აგვისტოს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დროებითის საქმეთა რწმუნებულს საბჭოთა კავშირში გადაეცა შემდეგი შინაარსის ნოტა.

„ჩინეთის ხელისუფლებმა, რომლებიც უხეშად არღვევენ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს და თვითნებობასა და უკანონობას სჩადიან, დალნის ნავსადგურში დაკავეს საბჭოთა გემი „სვირსკი“, 11 აგვისტოს შეიპყრეს გემის კაპიტანი ამბ. კორეოვი.

იმავე დღეს გემ „სვირსკთან“ თავი მოიყარა ჩინეთის მოქალაქეთა მრავალრიცხოვანმა ბრბომ, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი გემზე აიკრა და სცადა ფიზიკურად გასწორებოდა გემის ეკიპაჟის წევრებს. თავაწყვეტილმა ბულოგნებმა წარწერებით აავრელეს გემი და გაკრეს ბინძური ლოზუნგები, რომლებშიც ემუქრებოდნენ და შეურაცხყოფდნენ საბჭოთა სახელმწიფოსა და მის ხალხს.

ეს გაუგონარი ავაზაკური მოქმედება საბჭოთა გემისა და მისი ეკიპაჟის მიმართ ხდებოდა ჩინეთის ოფიციალურ ხელისუფალთა თვალწინ და მათი აშკარა წაყრუებით.

ფაქტებმ ადასტურებენ, რომ საქმე ეხება წინასწარ განზრახულ პროვოკაციას, რომლის მიზანია საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობის კიდევ უფრო გართულება.

საბჭოთა მთავრობა მტკიცე პროტესტს უცხადებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას საბჭოთა გემის „სვირსკისა“ და მისი ეკიპაჟის მიმართ ასეთი მოქმედების გამო და მოითხოვს დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ კაპიტანი ამბ. კორეოვი. უზრუნველყონ გემის დაუბრკო�eli ელ გასვლა ნავსადგურიდან და მკაცრად მოსთხოვონ პასუხი იმ პირთ, რომელთა მიზეზითაც მოხდა ეს თვითნებობა.

მთელი პასუხისმგებლობა ამ ახალი პროვოკაციისათვის ჩინეთის მხარეს ეკისრება“.

დალნის ნავსადგურში გრძელდება თარეში

ვლადივოსტოკი, 12 აგვისტო. (საკდესი). სსრ კავშირის შორეული აღმოსავლეთის სანაოსნო მიიღო ცნობები, რომ ჩინელი ხელისუფალნი, რომლებმაც დალნის ნავსადგურში დაკავეს საბჭოთა გემი „სვირსკი“, განაგრძობენ თარეშს, შეურაცხყოფენ თბოგადელს ეკიპაჟს.

მთელი დღის მანძილზე ხულიგნები ცდილობდნენ ფიზიკური ძალადობა ეხმარათ „სვირსკის“ მეზღვაურების მიმართ. ახლაც მათ ხელშია „სვირსკის“ კაპიტანი ვ. ა. კორეოვი. აღვირახსნილი ხულიგნები შეიჭრნენ გემის ბაქანზე და იერიში მიიტანეს „სვირსკის“ რადიოჯიხურზე. ავტოგენით გაჭრეს მისი კედლები. გემის ეკიპაჟმა ფარი დაახურა ჯიხური.

როგორც ახლახან შეატყობინეს შორეული აღმოსავლეთის სანაოსნოს, აღვირახსნილმა ბრბომ ხელთ იგდო რადიოჯიხური და კიბუტებში მოამწყვდია ეკიპაჟი. თბომავლის ბაქანზე ჩინელებმა გამართეს ანტასაბჭოთა მიტინგი. ნავსადგურში, გემის მახლობლად, პროვოკაციის ორგანიზატორებმა მორეკეს უამრავი ხალხი.

უსაფრთხოება მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პეკინის საელჩოსთან

პეკინი, 12 აგვისტო. (საკდესი). უკვე მეოთხე დღეა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პეკინის საელჩოს ალყა შემოარტყეს ჯარისა და პოლიციის ქვეგანაყოფებმა. აღრე დილიდან გვიან ღამემდე საელჩოს წინ უხამსად იქცევიან ხუნვეიბინები და ძაოფანები. არც ერთი წუთით არ წყდება მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელთა შეურაცხყოფელი შეძახილები, წასაქეზებელი ანტიმონღოლური და ანტისაბჭოთა მოწოდებანი, რომლებსაც რეპროდუქტორები გადმოსცემენ.

როგორც პეკინის ტელეფონი აუწყებს, „გულინ მონღოლეთის საელჩოსთან პროვოკაციების მართვაზე შეიკრიბა ათიათასობით კაცი. დღეს ქალაქის ყველა რაიონიდან ფეხით, სატვირთო მანქანებითა და ავტობუსებით მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოსთან მოდიან ხუნვეიბინთა და ძაოფანთა სულ ახალ-ახალი რაზმები.

აგრესორები მძვინვარებენ

იორდანიის წარმომადგენლის წერილი უ ტანს

ნიუ-იორკი, 11 აგვისტო. (საკდესი). იორდანიის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ელ-ფარა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს სწერს, რომ ისრაელი კვლავ არღვევს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. 1, 2, 3 და 4 აგვისტოს ისრაელის ქვეგანაყოფებმა რამდენჯერმე დაუშინეს ქვემეხებისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლი მდინარე იორდანი'ს აღმოსავლეთ ნაპირზე განლაგებულ იორდანიის ჯარებს.

ისრაელის ხელისუფალნი ოკუპირებულ იორდანიის ტერიტორიაზე განაგრძობენ სამოქალაქო მოსახლეობის „ტეროორის, დაშინებისა და ჩახშობის კამპანიის ესკალაციას“. წერილში მოყვანილია ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ისრაელი ოკუპანტები ძარცვავენ, სახლებიდან ერეკებიან ადგილობრივ მცხოვრებთ, სპობენ არათა სოფლებს.

26 ივლისს მანდახისა და ომ-ელ-შურათის ხიდების რაიონში ისრაელმა ჯარისკაცებმა ცეცხლი დაუშინეს 86 არაბს, რომლებიც მთვე ამყარეს თავიანთი სოფლებიდან. 6 კაცი მძიმედ დაიჭრა. როგორც მათ თქვეს, ჭერიკეს საპატიმროში ისინი უწამებიათ.

27 ივლისს მდინარე იორდანი'ს აღმოსავლეთ ნაპირზე გადავიდა ღაზის რაიონის 57 მცხოვრები, რომლებიც შიმშილმა და ისრაელ ხელისუფალთა არაადამიანურმა მოპყრობამ გააქცია.

კომენდანტის საათის დროს ისრაელი ოკუპანტები ძარცვავენ მაღაზიებს, სახლებსა და ტაძრებსაც კი იორდანიის დაკავებულ ტერიტორიაზე. ისრაელის ჯარებმა დაიტაცეს ნაბლუსის სამოქალაქო საავადმყოფოს მოწყობილობა, რომელსაც 196 ათას დოლარად აფასებენ.

ისრაელის ხელისუფალნი დინამიტითა და ბულდოზერებით მიწასთან ასწორებენ სოფლებს იმ საბაბით, თითქოს სახლებში იარაღს პოულობდნენ. ამ ბოლო დროს მოსპეს სოფლები ბეით ავა, ტეით მარზანი, სანი სოფელი ლატრუნის რაიონში, სადაც 7 ათასამდე კაცი უსახლკაროდ დარჩა.

თავდასხმები ჰანოიზე

ჰანოი, 12 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი ს. აფონინი გვატყობინებს: მეორე დღეა გრძელდება ამერიკის ავიაციის თავდასხმები ჰანოისა და მის გარეუბნებზე. განსაკუთრებით ძლიერი იყო გუშინდელი თავდასხმა. თავდასხმა დაიწყო 15 საათსა და 15 წუთზე ადგილობრივი დროით. ამერიკის თვითმფრინავები გაიყვნენ ცალკეულ ჯგუფებად, სხვადასხვა მიმართულებით და სხვადასხვა სიმაღლეზე ჩაუქროლეს ჰანოის ცენტრს და დაბომბეს ქალაქის საცხოვრებელი და სამრეწველო რაიონები. საჰაერო თავდაცვის ჯარები მამაცად შეხვდნენ ამ მასირებულ თავდასხმას. ჩემს თვალწინ „დედამიწა-ჰაერის“ კლასის რაკეტა ზუსტად მოხვდა მიზანს. მალე ჩამოაგდეს ამერიკის მეორე თვითმფრინავიც.

დღეს დილით ამერიკის თვითმფრინავები კვლავ გამოჩნდნენ ჰანოის ცაზე. საჰაერო განჯაზს ვიეტნამის დედაქალაქის დამცველები საბრძოლოდ გამზადებულნი შეხვდნენ. ჰანოის რადიომ დილით ბრძანა, რომ ამ თავდასხმის დროს ამერიკელებმა დაკარგეს კიდევ ერთი თვითმფრინავი.

ხანძარი სარდინიაში

რომი, 12 აგვისტო. (საკდესი). სარდინიის კუნძულ ცეცხლმა გახვეული. ტენძელის მთელი ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი ერთ უზარმაზარ კოცონად გადაიქცა. ხანძარი, რომელიც თითქმის ორი დღის წინათ დაიწყო, დღემდე გრძელდება. თუმცა მის ჩასაქრობად გაგზავნეს არა მარტო სახანძრო რაზმები, არამედ ჯარებიც. მფრინავები ამბობენ, რომ ზევიდან კუნძული უზარმაზარ მოქმედ ვულკანს ჰგავს — ალში და კვამლშია გახვეული. ცეცხლის სტიქიამ უკვე გაანადგურა ათეულ ათასობით ჰექტარი ტყე და ნაოესები, იღუპება პირუტყვი. საბედნიეროდ ჯერ ორ ყოფილა ადამიანის მსხვერპლი. მატერიალური ზარალი კი, პირველი მონაცემებით, მილიარდობით ლირას შეადგენს. ბრავინ არ იცის რატომ წარმოიშვა ხანძარი. ფიქრობენ, რომ ძირითადი დამნაშავეა მეტად ცხელი და მშრალი ამინდი. ამ ბოლო დღეებში სარდინიაში თერმომეტრი უჩვენებდა 40 გრადუსს ცელსიუსით.

ჩინეთის ამბები

ჩინეთში კვლავ დევნიან მაო ძე-დუნისა და მისი ჯგუფის მოწინააღმდეგეებს. გაზეთი „ბეიძინ ქიბაო“ წერს, რომ ამას წინათ პეკინის უნივერსიტეტში „საზოგადოებრივი სასამართლო“ მოუწყვეს ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, პეკინის სახალხო კომიტეტის ყოფილ თავმჯდომარეს პენ ჯენს. მას ბრალად დასდეს, რომ ცდილობდა უნივერსიტეტი გადაექცია „მაო ძე-დუნის მოძღვრების“ საწინააღმდეგო „რეაქციულ ციხე-სიმაგრედ“.

გაზეთი მოითხოვს, რომ „პოლიტიკურად, იდეოლოგიურად და თეორიულად დასასამარონ „პენ ჯენი და ასეთივე სასჯელს მოითხოვს ჩინეთის სახალხო გენთათვისუფლებელი არმიის გენერალური შტაბის ყოფილი უფროსისათვის ლო ჟუი-ცინისთვის, აგრეთვე ცნობილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეებისათვის ლუ დინ-ისა (ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი) და იან შან-კუნისათვის (ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი). როგორც გაზეთი წერს, ახლა არმიის ხელმძღვანელ ორგანოებში სასტიკად აკრიტიკებენ ლო ჟუი-ცინს, რომელსაც ბრალად სდებენ, რომ აწყობდა „შეთქმულებას“ მაო ძე-დუნისა და მის დამქაშთა ხაზის წინააღმდეგ.

უცხოეთის პრესის ცნობებით, ჩინეთის სხვადასხვა რაიონში გრძელდება მაოძედუნელთა და ლიუ შაო-ცის მომხრეთა სისხლისმღვრელი შეტაკებანი. დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში, შენიანში. ჩინეთის ამ რაიონის დიდმნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრში, გრძელდება შეიარაღებული შეტაკებანი, რომლებშიც არმია მონაწილეობს. შექმნილი არეულობის გამო პარალიზებულია წარმოება ქალაქ ძილინის რაიონში. ალარ მეშაობს ანშანის მეტალურგიული კომბინატის ბრძოლის ნაწილი. გრძელდება შეიარაღებული ბრძოლა ჩანჩუნში, ხარბინსა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის სხვა ქალაქებში. იუწყებიან, რომ ამ რაიონში „მდგომარეობის მოსაწესრიგებლად“ ჩინეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა იქ გაგზავნის ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის „კულტურული რევოლუციის“ საქმეთა ჯგუფის წევრს გუან ფენს.

როგორც უცხოელი კორესპონდენტები ჩინეთიდან იტყობინებიან, სამხრეთ ჩინეთის უდიდეს ქალაქ გუანჯოუში არ წყდება შეტაკებანი ხუნვეიბინთა მეტოქე დაჯგუფებებს შორის, აგრეთვე მათსა და მაშუბს შორის. იუწყებიან, რომ ამ ქალაქში დაწყებულ „სისხლისმღვრელ შეტაკებებში“ მონაწილეობს 10 ათასამდე კაცი. შეტაკებებში ჩაერევნენ ჯარის ნაწილები. ჩინელებსაც ხუნვეიბინებმა წინააღმდეგობა გაუწიეს. ხუნვეიბინები თავს ესხმიან გუანჯოუს სამხედრო ოლქის ჯარების სარდალს ხუან იუნ-შენს იმისათვის, რომ ჯარები, რომლებიც მას ეძვნმდებარებენ, მხარს უჭერენ მეშებსა და გლეხებს ხუნვეიბინებთან და ძაოფანებთან შეტაკებების დროს. (საკდესი).

ᲘᲛ ᲥᲐᲠᲪᲔᲪᲚᲘᲐᲜ ᲓᲦᲔᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲥᲐᲠᲘᲚᲘ

ᲕᲘᲜ ᲘᲪᲜᲝᲑᲡ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲢᲧᲔᲛᲐᲚᲐᲫᲔᲡ?

საჩუქარი შტრალზუნდიდან

ᲖᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ დემოკრატიული რესპუბლიკის ჩრდილოეთში ზედ ბალტიის ზღვის პირას მდებარეობს პატარა ლამაზი ქალაქი **შტრალზუნდი,** რომელსაც ამ ცოტა ხნის წინათ 730 წელი შეუსრულდა.

ყოველ წელიწადს, მეტადრე ზაფხულობით, ათეულ ათასობით ტურისტი და შვებულებაში მყოფი ჩერდება აქ. დასასვენებლად რომ მიდის ოდნავ აღმოსავლეთით მდებარე ვუნერად რიუგენზე, რომელიც, შეიძლება ითქვას, ყველაზე ლამაზი ადგილია მთელ ბალტიის ზღვაზე.

მაგრამ არა მარტო ტურისტები იცნობენ ძველ შტრალზუნდს. მას ყარგად იცნობენ სხვადასხვა ქვეყნის მეზღვაურებიც. იქ მდებარეობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველაზე დიდი ვერფი, რომელიც თევზსაჭერ გემებს აშენებს.

სახალხო ეერფმა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ვინმე კრეგერის პატარა გემთსაშენი სახელოსნოს ნანგრევებზე, უკვე ერთი წლის შემდეგ — დიდი ოქტომბრის 32-ე წლისთავის ალსანიშნავად ზაუშვა წყალში პირველი გემი, რომელსაც „ოქტომბრის რევოლუციია“ უწოდეს. იგი განკუთვნილი იყო საბჭოთა კავშირისათვის. 8 წლის განმავლობაში შტრალზუნდელმა გემთმშენებლებმა სსრ კავშირისათვის ააგეს ასი ასი ტიპის 500 ხომალდი. შემდეგ ეერფი გადავიდა უფრო მძლავრი და თანამედროვე ტრაულერების მშენებლობაზე. 170-ზე მეტი ასეთი ტრაულერი ჩაუშვეს წყალში. მათ შემდეგ კი — „ტროპიკის“ ტიპის გემები. ორმლებიც გათვალისწინებულია თევზის საჭირად სამხრეთ განიდებში. მძლავრი და საიმედო ტექნიკიდან მოხერხებული მოწყობილობით აღჭურვილმა, სწრაფმავალმა და მანევრულნარიანმა ამ გემებმა სახელი მოიხვეჭეს საბჭოთა მეგზაურებში. თავდაპირველად **შტრალზუნდელმა** გემთმშენებლებმა სსრ კავშირისათვის აააგეს ასი ასი ტიპის 500 ხომალდი. შემდეგ ეერფი გადავიდა უფრო მძლავრი და თანამედროვე ტრაულერების მშენებლობაზე. 170-ზე მეტი ასეთი ტრაულერი ჩაუშვეს წყალში. მათ შემდეგ კი — „ტროპიკის“ ტიპის გემები. ორმლებიც გათვალისწინებულია თევზის საჭირად სამხრეთ განიდებში. მძლავრი და საიმედო ტექნიკიდან მოხერხებული მოწყობილობით აღჭურვილმა, სწრაფმავალმა და მანევრულნარიანმა ამ გემებმა სახელი მოიხვეჭეს საბჭოთა მეგზაურებში.

თავდაპირველად **შტრალზუნდელმა** გემთმშენებლებმა სსრ კავშირისათვის აააგეს ასი ასი ტიპის 500 ხომალდი. შემდეგ ეერფი გადავიდა უფრო მძლავრი და თანამედროვე ტრაულერების მშენებლობაზე. 170-ზე მეტი ასეთი ტრაულერი ჩაუშვეს წყალში. მათ შემდეგ კი — „ტროპიკის“ ტიპის გემები. ორმლებიც გათვალისწინებულია თევზის საჭირად სამხრეთ განიდებში. მძლავრი და საიმედო ტექნიკიდან მოხერხებული მოწყობილობით აღჭურვილმა, სწრაფმავალმა და მანევრულნარიანმა ამ გემებმა სახელი მოიხვეჭეს საბჭოთა მეგზაურებში.

ეს ფოტოსურათი 25 წლის წინათ არის გადაღებული ჩრდილოეთ კავკასიის მთებში. არც მახსოვს რომელ დღეს გადავიღე, ვიცი მხოლოდ, რომ 1942 წლის სექტემბერი იდგა. გამარჯვებებით გათამამებული ფაშისტები შავი ზღვის სანაპიროსკენ, სოხუმისაკენ მიისწრაფოდნენ, მაგრამ საბჭოთა არმია მედგრად იცავდა კავკასიის მისადგომებს.

ომის წლებმა ბევრი უსიამო მოგონება დაგვიტოვა. ჩემს ფოტოარქივში შემორჩა საბჭოთა მეომრების პორტრეტები, რომელთა გზა-კვალისა და ბედის შესახებ არაფერი ვიცი. ზოგი მათგანი ალბათ დაიღუპა, ბევრი კი გამარჯვებული დაუბრუნდა თავის კუთხე-გარემოს.

სურათზე თქვენ ორ მებრძოლს ხედავთ. წინა პლანზე ქართველი **ᲛᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲢᲧᲔᲛᲐᲚᲐᲫᲔ,** მეორე — სომეხი **ᲡᲣᲠᲔᲜ ᲛᲐᲠᲢᲘᲠᲝᲡᲘᲐᲜᲘ.** ისინი მედგრად იცავდნენ კავკასიას, მტერს არ მისცეს საშუალება მშობლიურ მიწა-წყალზე დაედგა ფეხი. გმირულ ბრძოლებში ისახელეს თავი და მერე ჩემი თვალთახედვის ჰორიზონტიდან გაქრნენ.

მეოთხედი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც მათ შესახებ აღარაფერი ვიცი, მაგრამ დღესაც მწამს, რომ ორივე ცოცხალია, ჩემს პატარა შენიშვნას წაიკითხავენ და გამომეხმაურებიან.

იქნებ შენც იცნობდი, მკითხველო, ვახტანგ ტყემალაძეს და სურენ მარტიროსიანს? მომაწვდინეთ ხმა, მინდა კვლავ შევხვდე ჩემს თანაფრონტელებს.

ᲘᲐᲙᲝᲑ ᲮᲐᲚᲘᲪᲐ.

„კრასნაია ზვეზდას“ ყოფილი სპეციალური სამხედრო კორესპონდენტი.

• • •

რედაქციისაგან: ძვირფასო მეგობრებო, ჩვენო მკითხველებო! „კომუნისტი“ თავის ხმას უერთებს „კრასნაია ზვეზდას“ ყოფილი სპეციალური სამხედრო კორესპონდენტის **ᲘᲐᲙᲝᲑ ᲮᲐᲚᲘᲪᲘᲡᲐᲡ** თხოვნას.

ᲒᲔᲚᲘᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲬᲘᲠᲘᲚᲔᲑᲘ!

ჯილდოები ოცდაორი წლის შემდეგ

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ორ ათეულ წელზე მეტია მიწუნარდა ომის ქარტეხილი, ქვეყნებენის გრგვინვა, მაგრამ დიდ სამამულო ომში გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლებში მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის ბევრი ახლაც იღებს მთავრობის ჯილდოებს.

ზესტაფონის სამხედრო კომისარმა, პოდპოლკოვნიკმა შ. მაისურაძემ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით ახლახან ორდენები და მედლები გადასცა ზესტაფონის მკვიდრთ.

სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენები გადაეცათ დივიზიის პროკურატურის ყოფილ მდივანს, ამჟამად არგვეთის ღვინის ქარხნის ბუღალტერს შ. მაკვალრიანს, ვვარდიის ლეტეჩანტს. მეტყველმფრქვევეთა ყოფილ მეთაურს მ. ზაქარიაძეს; მედალი „მამაცობისათვის“ მიიღო მეტყვიამფრქვევეთა ასეულის ზემდგომ შ. მახათაძემ, ხოლო მედალი „საბრძოლო დამსახურებისათვის“ სამედიცინო სამსახურის კაპიტანმა, ამჟამად რაიონის მთავარი ექიმის მოადგილემ პ. რობაქიძემ.

შეხვედრეგი ომის მონაწილეეგთან

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ პარტიის ონის რაიკომმა გულთბილი შეხვედრა მოუწყო სამამულო ომის მონაწილეებს. თავიანთ საბრძოლო გზაზე მოგონებებით გამოვიდნენ აკ. მაგრაქველიძე, ა. ბერეუჩევი, პ. ყიფიანი, ს. თოდაძე და სხვები.

ასეთივე შეხვედრა გამართა აგრეთვე ონის საბავშვო სახლის დირექციამ (დირექტორი ე. ლებანიძე, პარტორგანიზაციის მდივანი ელ. მურღულია). საბავშვო სახლის აღსაზრდელებსა და პედაგოგებს ეწვივნენ ძველი კომუნისტები, სამოქალაქო ომის ვეტერანები და სამამულო ომის მონაწილენი.

Ე. ᲓᲔᲣᲨᲐᲕᲨᲕᲘᲚᲘ.

ნორჩები უვლიან ძმათა სასაფლაოს

მახარაძე. (საკ. კორ.). ქ. მახარაძის ტერიტორიაზე არის სამამულო ომში დაღუპულ ძმათა სასაფლაო. ომის დროს აქ გადმოტანილი იყო ერთ-ერთი ჰოსპიტალი. მძიმედ დაჭრილი მებრძოლები, რომლებიც აქ გარდაიცვალნენ, დაკრძალული არიან „მოიდანახის“ სასაფლაოზე. მათ ხომ თავი შესწირეს ოქტომბრის, დიადი მოთავპოვრის დაცვას.

ეგვატე ნინოშვილის სახელობის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეებმა იკისრეს ძმათა სასაფლაოს შეფობა და უვლიან მას. სკოლის ნორჩი მკვლევარები რაიონის სამხედრო კომისარიატის დახმარებით მუშაობენ დასაფლავებულთა ვინაობის დასადგენად და მასალების შესაკრებად.

ბავშვებმა შეძლეს მებრძოლთა ერთი ნაწილის ვინაობის დადგენა. მათ შორის არიან: **ვასილ ვასილიევი, სერგო ასლამაზოვი, დავით ქრისტესაშვილი, ჩაკო ეშბა.** ნორჩები განაგრძობენ მუშაობას არსებული მასალების დასაზუსტებლად და ახლით შესავსებად.

ომის გმირთა ქეგლი

ᲑᲝᲒᲓᲐᲜᲝᲕᲙᲐ, (საკდესი). დაბა ბოგდანოვკის კულტურისა და დასვენების პარკში გაიხსნა გმირთა ძეგლი, რომლებიც დაიღუპნენ დიდი სამამულო ომის დროს.

გახსნის ცერემონიას დაესწრნენ რაიონის მშრომელთა ბევრი წარმომადგენელი და სტუმრები სომხეთიდან.

მაღალ ბაზალტის დაფაზე გამოსახული არიან სამი მოძმე ეროვნების წარმომადგენლები — ქართველი, რუსი და სომეხი. ქვემოთ ქალის სილუეტია — დედის ხელში უპირავს დაფნის გვირგვინი.

ძეგლი აგებულია რაიონის მშრომელთა ინიციატივით და სახსრებით. იგი დაპროექტებულ არქიტექტორმა ი. მარგიანშვილმა, მოქანდაკეებმა გ. ოჩიაურმა, თ. თოდუამ, ი. კვატაშვილმა, თ. ლომაშვილმა, სამუშაო შეასრულეს კალატოზმა ოსტატებმა ა. ბეკნატიანმა, ვ. მარდოიანმა, ხ. კოჩარიანმა, ე. მანველიანმა.

მე-3 გვერდი
კვირა,
13 აგვისტო,
1967 წ.
კომუნისტი

ᲪᲔᲙᲕᲘᲗ ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲖᲔ

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ, ᲨᲗᲐᲑᲭᲓᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲓᲐᲜ

დამთავრდა ქალაქ სანდერლენდის კონცერტები. თეატრ „ემპარეში“ ქალაქის ხელმძღვანელობა გამოსათხოვარ შეხვედრას გვიწყობს. კულისებში სუფრის თადარიგია. ქალაქის მერმა საგანგებოდ წამოსხმული ერთმეტრიანი ბროლის სასმისი გამოიტანა, იქაური ნაქები ლუდით ავსო და გამოაცხადა: „ქართველები კარგი ვაჟკაცები ხართ, ვინც ამას გამოცლის, ქალაქ სანდერლენდის საპატიო წევრი გახდებაო“. ერთმანეთს გადავხედეთ. ვინ მოერევა ამოდენა სასმისს. ილიკომ გამოსავალი იპოვნა: „ბატონო მერო, ვინაიდან ყველა ჩვენგანისათვის ძვირფასია ქალაქ სანდერლენდის საპატიო წევრი გახდებაო“. ერთმანეთს გადავხედეთ. ვინ მოერევა ამოდენა სასმისს. ილიკომ გამოსავალი იპოვნა: „ბატონო მერო, ვინაიდან ყველა ჩვენგანისათვის ძვირფასია ქალაქ სანდერლენდის საპატიო წევრობა, ამისათვის ყველა შევსვამთ და ისე დავცლიო“. სიცილ-ხუმრობაში 70 კაცმა მოვსვით და დაცლილი ბროლის სასმისი ანსამბლის მეზეუმს შეეშატა.

სანდერლენდიდან ავტობუსებით ქალაქ ნოტინგემში ჩავედით. „სამეფო თეატრში“ დაიწყო გასტროლები. ანსამბლი აქ პირველად გამოდის, მაგრამ პრესას ნიადაგი მოუმზადებია, ბილეთებზე რიგებია. ისევ აღფრთოვანებული მიღება. კონცერტის შემდეგ გასასვლელში ჩვენს ახალგაზრდებს ელოდებიან, ავტოგრაფებს სთხოვენ. ქალაქის მესვეურები კატეგორიულად მოითხოვენ კონცერტების გაგრძელებას. არ ხერხდება, მაგრამ შემდეგისათვის ვპირდებით. ყინ ლონდონია. ჩვენი იმპრესარიო გვატყობინებს, რომ 29 ივნისს ლონდონში ჩასვლისთანავე კონცერტი მოგვეცის 3 ათასადგილიან საკონცერტო დარბაზ „ფესტივალ ჰოლში“, სადაც შარშან გამოვდიოდით. ლონდონში დამთავრდა რეკლამის მსოფლიო კონგრესი და მისი წევრობის თხოვნით ქართული ანსამბლის კონცერტი უნდა გაიმართოს ღამის 11 საათზე.

ლონდონი სასტუმრო „უელსის პრინცი“, შემდეგ „ფესტივალ ჰოლი“, თეთრი შეობა — ტემზის სანაპიროზე, მშვენიერი დარბაზი. მეათე რიგში ილიკოს და მე დირექციამ როგორც იქნა ორი ადგილი მოგვიძებნა. კონცერტი დაიწყო. სხვადასხვა ენაზე ისმის „ვასას“ შეძახილი. სცენიდან დანაბულს ჩვენი ბიჭები გვიამბობენ, ილიკო და თქვენ ხალხში გამოირჩეოდით, ორივე ჯალსტუხებით და უსმოკინგოდ იყავით და ტაშს არ უკრავდითო.

30 ივნისიდან ქართველი მოცეკვავეები გამოდიოდნენ ლონდონის ერთ-ერთ უდიდეს დარბაზ „როიალ ალბერტ ჰოლში“. დარბაზში 7 ათას მაყურებელს იტევს. ჩვენი იმპრესარიო და თეატრის დირექტორი გახარებული არიან, მსოფლიოს ვერც ერთი კოლექტივი ასეთი სიცხეების დროს მაყურებელს ვერ მოიზიდავდაო.

ლონდონში უჩვეულოდ ცხელი ზაფხულია. ზოგნი ქალაქგარეთ გარბიან, ზოგნი კი პარკებში პირდაპირ მოლზე წამოწოლილან. ასწოლოვანი მუხები და ჭადრები, კოხტად შეკრეული ბალახი, ხელოვნური ტბები. დასიცხული შეხვალ „ჰაიდპარკში“ და რამდენიმე წუთში გავიწყდება დახუთული ქუჩები და ქალაქის სიმხურვალე.

გაზეთები ყოველდღე წერენ ანსამბლზე. „ივნინგ ნიუსი“ ურჩევდა ლონდონელებს, ქალაქგარეთ დასასვენებლად ნუ წასვალთ, ქართველების შესანიშნავი კონცერტი ნახეთ და დაიკავეს ბილეთი.

საბჭოთა კავშირისა და ინგლისის მეგობრობის საზოგადოებამ შეხვედრა მოგვიწყო. მოგვესალმა თავმჯდომარე. სიტყვას ამბობს ქართველოლოგი დეივიდ ლანგი: „მეგობრებო, ნება მიბოძეთ დიდი ბრიტანეთის რესპუბლიკის სახელით მოგილოცოთ თქვენ ეს, რიგით მესამე, უბრწყინვალეი საგასტროლო წარმატებები ინგლისში“. შემდეგ დეივიდ ლანგმა ნინო რამიშვილს გადასცა ლონდონის უნივერსიტეტის ქართველოლოგიის კათედრის მიერ გამოცემული წიგნი — ალბომი ძველი ქართული ცივილიზაციისა და ხელოვნების შესახებ. ანსამბლის ხელმძღვანელმა მადლობა გადაუხადა საზოგადოების კომიტეტის წევრებს.

შეხვედრა გრძელდება. სარკმლიდან მოჩანს ლონდონი. რა მშვენიერი სანახაობაა! ეს უძველესი სასახლეები, ამწვანებული ბალები ნაირფერი ყვავილებით შემკული, მდინარე ტემზა დიდი ხიდებით — ვატერლოოს, ტაუერის და ლონდონისა, მოსრიალე გემები, ბუკინგამის სასახლე ულამაზესი ბაღით. თუ სასახლის თავზე დროშა ფრიალებს, დედოფალი რეზიდენციაშია. ცოტა მოშორებით ამერიკული სასტუმრო „ჰილტონი“, რომელიც დედოფლის უკმაყოფილებას იწვევს, რადგან იგი 50-სართულიანია და ბაღში ყველაფერს ხედავენო. სასახლის წინ პაპანაქებაში რკინის მოაჯირთან დგანან გუშაგები, რომლებსაც მაღალი დიდბუწვიანი ქუდები ხურავთ და წითელი ტრადიციული მუნდირები აცვიათ. პარლამენტის უძველესი და უდიდესი სასახლის დათვალიერებას ერთი დღე მოვანდომეთ. ახსნა-განმარტებას გვაძლევდნენ თვით პარლამენტის წევრები.

ვნახეთ ვესტმინსტერის საბატო, სადაც პრინცებისა და ჰერცოგების საფლავთა გვერდით მარხიან ჩარლზ დარვინი და ისააკ ნიუტონი. ვცდილობთ ყველაფერი ვნახოთ: მუზეუმები, ტემზის ნაპირები, ოქსფორდ სტრიტი, რეჯენტ სტრიტი, სხვა ხალხმრავალი ქუჩები და პროსპექტები, პიკადილის მოედანი, „ეროსის“ ქანდაკება შადრევნით და გარშემოვლებული ქვის საფეხურებით, სადაც დილიდან შუაღამემდე ზის და თავს იქცევს უსაქმო ახალგაზრდობა. — ბიტების მხრებამდე ჩამოშვებული თმით და გოგონები ძალიან მოკლე კაბებით.

საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ასოციაციის პრეზიდენტმა სერ ფიციროელ მაკლეინმა მიგვიწვია სადილზე, რომელსაც ეესწრებოდნენ საბჭოთა კავშირის ელჩი ინგლისში ამბ. სმირნოვსკი, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ბატლერი და სხვა მოღვაწენი. სალამოს კონცერტზე გაგვახარა მწვრალ ჯეიმს ოლდრიჯის დასწრებამ, იგი კულისებში გვიწვია და ქ-ნ ნინოს თავისი ახალი წიგნი უსახსოვრა. შემდეგ წერილ მოგვწერა:

„მე ვიჯექი „ალბერტ-ჰოლში“, ვუყურებდი ქართულ ცეკვებს და ვიხსენებდი თბილისში გატარებულ მშვენიერ დღეებს, რუსთაველის საიუბილეო დღეებს. ამის მიზეზია ანსამბლი, მისი ცეცხლოვანი ცეკვები. ქორეოგ

მეგობრები. ფოტოეტიუდი ს. კილაძისა.

ავტომანქანებით მსოფლიოს გარშემო

1908 წლის 12 თებერვალს ქ. ნიუ-იორკიდან ქალაქ ოლბანის (აშშ) მიმართულებით სტარტი აიღეს იტალიურმა, გერმანულმა, ფრანგულმა და სამმა ამერიკული ფირმების მანქანამ. ეს იყო მსოფლიოს გარშემო პირველი ავტოგადარბენა.

გადარბენის მონაწილეებს უნდა გავლილ ოთ: ალასკა, ჩუოტკა, ციმბირი, მოსკოვი, პეტერბურგი და ბერლინი. ფინეთში დანიშნული იყო საფრანგეთის დედაქალაქში. გადარბენის ორგანიზატორები იყვნენ გაზეთების „ნიუ-იორკ ტაიმსისა“ და „მატენის“ რედაქციები.

შეჯიბრების პირველსავე დღეებში ცუდმა გზებმა, თოვლმა და სხვა ხელშემშლელმა პირობებმა მწყობრიდან გამოიყვანა სამი მანქანა. წინააღმდეგობის გადალახვას დაოქმული მარშრუტით განაგრძობდა: გერმანული მანქანა „პროტოსი“ ამერიკული ფირმის მანქანა „თომას ფლეიერი“ და იტალიური მანქანა „ზიუსტი“. 22 მაისიდან გადარბენის მონაწილე მანქანები რუსეთის ტერიტორიაზე განაგრძობდნენ შეჯიბრებას. 18 ივლისს გერმანული ფირმის მანქანა „პროტოსი“ შევიდა მოსკოვში, სამი დღის შემდეგ კი იქ ამერიკულ მანქანა „თომას ფლეიერს“ ჰქონდა ფინეთში.

ამ დროისათვის იტალიური ფირმის მანქანა ძალიან ჩამორჩებოდა შეჯიბრების ლიდერებს და იმყოფებოდა ქ. ომსკში.

მოსკოვიდან ამერიკული და გერმანული მანქანები პეტერბურგისა და ბერლინის გავლით ჩავიდნენ პარიზში.

პირველი მანქანა, რომელმაც 1908 წლის 30 ივლისს გადაკვეთა ფინეთის ხაზი მოგზაურობის შემდეგ, იყო ამერიკული „თომას ფლეიერი“. მას მართავდა ჯორჯ შუსტერი.

როცა პირველ ავტოგადარბენაში გამარჯვებული სამშობლოში დაბრუნდა, მას გულთბილი შეხვედრა მოუწყეს ნიუ-იორკის მცხოვრებლებმა.

პრეზიდენტმა თეოდორ რუზველტმა გამარჯვებულს პატივსაცემი მიღება გაართვა თეთრ სახლში.

გაზეთებმა „ნიუ-იორკ-ტაიმსმ“ და „მატენმა“ ავტოგადარბენის მონაწილეთა სახელით გამოაქვეყნეს მადლობა რუსი ხალხისადმი, რომელიც დიდ დახმარებას უწევდა მათ რუსეთის ტერიტორიაზე მოგზაურობის დროს.

ეს იცოდით თქვენ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთის მოედნებზე

△ **სტოკჰოლმში** გაიმართა საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში. აქ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ასპარეზობაში საბჭოთა ნაკრების მეტოქე ფინეთის გუნდი შეხვდა შვედ ფეხბურთელებს და დამარცხდა ანგარიშით 0:2.

△ **სევეროდონეცკში** მიმდინარეობს შეჯიბრება ფეხბურთში „სიჭაბუკის თასზე“. მორიგ ტურში საქართველოს გუნდმა დაამარცხა ლენინგრადის ნაკრები 3:1, ხოლო უზბეკეთის გუნდმა — აზერბაიჯანელი ფეხბურთელები 1:0. მოსკოვისა და ლუგანსკის ოლქის გუნდების შეხვედრის შედეგია ფრე — 1:1. სამი ტურის შემდეგ ლიდერია საქართველოს გუნდი, რომელსაც 5 ქულა აქვს. ოთხ-ოთხი ქულა აქვთ უზბეკეთისა და მოსკოვის ფეხბურთელებს.

△ **ევროპის** ფეხბურთის ასოციაციის კავშირის გადაწყვეტილებით ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასის გათამაშების ფინალური ასპარეზობა გაიმართება მომავალი წლის 23 მაისს ჰოლანდიის ქ. როტერდამში, ხოლო დასკვნითი შეჯიბრება ევროპის ჩემპიონთა თასზე მოეწყობა 29 მაისს ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე.

△ **დონის როსტოვის** „როსტსელმაშის“ სტადიონზე დაიწყო „ტყავის ბურთის“ კლუბების პრიზისათვის ბრძოლის დასკვნითი შეხვედრები. მონაწილეობს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ნორჩ ფეხბურთელთა (12-13 წლის) 24 კოლექტივი. ასპარეზობა 21 აგვისტომდე გასტანს. პირველ შეხვედრათა შედეგები ასეთია: „ნაკადული“ (საქართველო) — „სოიუზი-1“ (ტაშკენტი) 1:0, „ენთუზიასტი“ (კიევი) — „ავანგარდი“ (მურმანი) 2:0, „ალმაზი“ (იაკუტსკი) — „ალმაზი“ (ორენბურგი) 2:0, „საქართველო“ (ჩრდილოეთ ოსეთი) — „ოგონიოკი“ (ტაჯიკეთი) 8:0.

△ **ათი** ბურთი იქნა გატანილი საერთაშორისო მატჩში, რომელიც მიუნხენში გაიმართა ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასის წინანდელ გათამაშებაში გამარჯვებულ „ბავარიასა“ და „ნანტის“ გუნდებს შორის. წარმატება არც ერთს არ ხვდა — ფრე 5:5.

ევროპამ სძლია ამერიკას

მონრეალში ორ დღეს გრძელდებოდა დიდი საერთაშორისო მატჩი მძლეოსნობაში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის ნაკრებ გუნდებს შორის. ასეთი ასპარეზობა პირველად მოეწყო. (ევროპის კონტინენტის ნაკრებში არ შედიოდნენ საბჭოთა მძლეოსნები).

გაიმარჯვეს ევროპის კონტინენტის მძლეოსნებმა საერთო ანგარიშით 169:155 (ქალებმა — 60:55, ვაჟებმა — 109:100).

ე. გელერი — კვლავ ლიდერი

იუგოსლავიის ქ. კრუჩევოში საერთაშორისო ტურნირის მეოთხე ტურში **ე. გელერს** შეხვედრა ჰქონდა იუგოსლავ **მ. კნეჟევიჩთან.** მეტოქენი აგრესიული ბრძოლისათვის იყვნენ განწყობილნი მაგრამ პარტიის დაბოლოებაში საყაიმო პოზიცია შეიქმნა და თვითეულმა მათგანმა სატურნირო ცხრილში ნახევარი ქულა ჩაიწერა.

ამრიგად, **ე. გელერი** ინარჩუნებს ერთპიროვნულ ლიდერობას. ოთხი ტურის შემდეგ მას 3,5 ქულა აქვს.

ასევე ყაიმს დასჯერდა მეორე საბჭოთა გროსმაისტერი **რ. ხოლმოვი** იუგოსლავ **მ. მატულოვიჩთან** პარტიაში. ახლა **რ. ხოლმოვს, მ. მატულოვიჩსა** და **დ. მინიჩს** სამ-სამი ქულა აქვთ.

ამერიკის არაერთგზის ჩემპიონმა გროსმაისტერმა **რ. ფიშერმა** დაამარცხა უნგრეთის წარმომადგენელი **პ. დელი.**

ექს-ჩემპიონი მესამე იყო

ტულის ტრეკი, რომელსაც 70 წელი შეუსრულდა, დიდი სპორტული პაექრობის არენა გახდა. ტურნირის მეორე დღეს დიდი ინტერესი გამოიწვია სპრინტერთა ასპარეზობამ, რომელშიც სხვებთან ერთად მონაწილეობდა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი და ახლახან მოსკოვში დამთავრებულ სსრ კავშირის ხალხთა საიუბილეო სპარტაკიადაში გამარჯვებული **ო. ფხაკაძე.**

რა თქმა უნდა, აქ ფავორიტად **ო. ფხაკაძე** ითვლებოდა, მაგრამ მან მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავა. ჩანს, იგი მსოფლიოს პირველობის წინ ძალებს ზოგავს. სპრინტერთა შეჯიბრებაში წარმატება ტულელ ველოსიპედისტ **ბ. რომანოვს** ხვდა. მეორე ადგილზე გამოვიდა ახალგაზრდა სპორტსმენი **ბ. პეტროვი** (ტულა).

ო. ფხაკაძე, რომელმაც გაიმარჯვა „სანუგეშო რბოლაში“, ნახევარფინალში გავიდა და აქ შეხვედრა ჰქონდა **ბ. რომანოვთან.** ტულელი სპორტსმენი მოულოდნელად წინ გაიჭრა, **ო. ფხაკაძემ** უკანასკნელ ას მეტრზე არნახული სისწრაფე განავითარა, მაგრამ მეტრეკ იმდენად წინ იყო, რომ ვერ დაეწია მას.

ქ. კოშალინში

პოლონეთის ქ. კოშალინში გაიმართა „ოლიმპიური იმედების“ ტურნირი თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში. ჩვენმა სპორტსმენებმა თავისუფალ ჭიდაობაში ექვსი პირველი ადგილი, ხოლო კლასიკურ ჭიდაობაში 4 პირველი ადგილი დაიკავეს და 85 ქულით გუნდურ ჩათვლაშიც გაიმარჯვეს. მომდევნო ორი ადგილი 50-50 ქულით ხვდათ რუმინეთისა და უნგრეთის გუნდებს.

რა არ ხდება ამ ქვეყნად?

ასეთი რამეც ხდება

რა არ ხდება ამ ქვეყნად? ზოგჯერ კიბერნეტიკასაც კი არ ძალუძს გამოიცნოს ადამიანის გრძნობები. ამას წინათ იოჰანესბურგში (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) ქმარგაყრილმა ქალმა გადაწყვიტა მეორედ გათხოვილიყო. ამისათვის მას მხოლოდ უნდა მიემართა იმ კანტორისათვის, რომელიც მომავალ მეუღლეთა კანდიდატურების შერჩევას ეწევა, და მისი გამოთვლითი ტექნიკისათვის.

ქალმა შეავსო ბლანკი, რომელიც შეიცავდა კითხვების გრძელ ნუსხას, დაწერილებით ჩამოთვალა თავისი ინტერესები, მომავალი ქმრის სავარაუდო ღირსებანი, მისი ფიზიკური და მორალური თვისებანი. მაგრამ მან არ იცოდა, რომ მისმა ყოფილმა ქმარმა იმავე კანტორას მიმართა.

რამდენიმე დღის შემდეგ ქალმა ფოსტით მიიღო კონვერტი, რომელსაც ეწერა „ფრიად სიდუმლო“. მოუთმენლად გახსნა კონვერტი და იქ აღმოაჩინა, რომ გამომთვლელ მანქანას მილიონზე მეტი კანდიდატურიდან ამოურჩევია... მისი ყოფილი ქმარი.

ქალი პირდაპირ შეძრწუნდა: „მე ქმრად მინდოდა კაცი, რომელიც მომზიდველი იქნებოდა, გაერთიანრების საშუალზე მაღალი დონე და კარგი პროფესია ექნებოდა. ჩემს ყოფილ ქმარს არც ერთი ეს თვისება არ მოეპოვებოდა“.

კომენტარები, როგორც იტყვიან, ზედმეტია.

მ. ვიუნეკსკი.

(საკავშირო).

ესთეტი ჭიანჭველები?

ტყის წითელი ჭიანჭველები სილმაზის „მოტრფიალენი“ არიან. ეს მათი საოცარი თვისებურება დაადგინა ცნობილმა ალმაათელმა ენტომოლოგმა პ. ი. მარიკოვსკიმ. მან შენიშნა, რომ მარად მოფუსფუსე მწერების კონუსისებრ ბუდეში შეაქვთ ხოჭოების მბრწყინავი ნარჩენები, რომლებიც მათ არაფერში გამოადგებათ.

ჩვეულებრივ ექსპედიციაში გაგზავრებისას მეცნიერს თან მიაქვს ერთი მუჭა წვრილი ფერადი მძივი. საკმარისია მინის რამდენიმე მძივი მოაბნიო ჭიანჭველების ბუდესთან რომ ჭიანჭველები მაშინვე მისცვივდებიან და თავიანთ ბუდეში მიათრევენ. თუმცა, „უფრო სოლიდური“ ჭიანჭველები მძივს ყრიან ბუდიდან. როგორც ჩანს, ეს ახალგაზრდების გაფრთხილებაა: „ამოდ ნუ კარგავთ დროს, მოიპოვეთ საკვები, გამოზარდეთ პატარები და შეასრულეთ ჭიანჭველათა კოლონიისათვის სასარგებლო საქმენი“.

როგორღაც პ. ი. მარიკოვსკიმ ერთხელ ტყეში თან წაიღო კაშკაშა ქვებით შემკობილი პატარა ბრაში. დადო ჭიანჭველების ბუდესთან. ამ საგანმა მიიზიდა მუშა ჭიანჭველების მთელი ლეგიონი. მათ შორის აღმოჩნდა „ფხიანიც“, რომელმაც სამი ქვა წაიღო. თუმცა ეს ქვები საკმაოდ მაგრად იყო ჩასმული ბუდეში...

ო. ოგნევი.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. ხ. პ. ნოდია დანიშნა საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის მოადგილედ.

ბშენებელთა საჩუქრები

კიდევ ერთი სიხარული

თელავი. კარგ საიუბილეო საჩუქარს მიიღებენ სოფელ რუფოთის მშრომელები. დაიწყო კაპიტალური შენობის აგება, რომელშიც მოთავსდება სასოფლო კლუბი, სასოფლო საბჭო და კოლმეურნეობის გამგეობის კანტორა.

ახალი სკოლა

ზესტაფონი. სოფელ ქვედა საზანოში სკოლის ძველ ფიცრულ ნაგებობას შეცვლის მწყლიანი სკოლის ახალი კაპიტალური შენობა, რომლის სამუშაოებს ზესტაფონის სამშენებლო კანტორა აწარმოებს. სკოლა ახალი სასწავლო წლისათვის იქნება მზად.

ა. სამანიშვილი.

უმასპინძლებს ყაზგეგი

ყაზბეგი. (საკ. კორ.). ამას წინათ ყაზბეგში საფუძველი ჩაეყარა ორსართულიანი რესტორნის მშენებლობას. ქვედა სართულზე მოეწყობა კაფე, ხოლო ზედა სართულზე — ფართო და ნათელი დარბაზები. რესტორნის ფასადი მოპირკეთდება ადგილობრივი ოქროყანის წითელი ქვით.

გალი სახეს იცვლის

გალი. უკანასკნელ 4-5 წელიწადში ამენდა რამდენიმე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი. კეთილმოწყობილ ბინებში ჩასახლდა ათობით ოჯახი.

ახალმშენებლობათა ხარაჩოებშია კიდევ რამდენიმე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი. დაწყებულია სასტუმროს მშენებლობა, რომელიც ერთ-ერთი ულამაზესი ნაგებობა იქნება.

ამ დღეებში დიდი გამოცოცხლებაა ქალაქის ცენტრში. მიმდინარეობს ახალი ლამპიონების დამონტაჟება, გადასასვლელი ადგილების მოწესრიგება, შენდება შემოსავლელი გზა, რომლის დამთავრების შემდეგ ლენინის ქუჩა, ქალაქის ეს ცენტრალური მაგისტრალი, საგრძნობლად განიცდიერთება ტრანსპორტის მოძრაობისაგან.

ნ. პაპასქუა.

ტროლეიბუსი ჭიათურაში

ჭიათურის შავი ოქროს მაღაროთა სამმართველოს მშრომელებს დღის ყოველი დროისათვის სჭირდებათ შეუფერხებელი და მოხერხებული ტრანსპორტი. ამიტომ არის, რომ ახლა ჭიათურა-საჩხერის მიმართულებით სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ახალი ტროლეიბუსის ხაზის გაყვანისათვის მოსამზადებელი სამუშაოები. უკვე მთავრდება ტროლეიბუსის ხაზის ბოძების ჩაბეტონება, მალე დაიწყება ტროლეიბუსის ხაზის დამონტაჟება და ქვესადგურის მშენებლობა. გათვალისწინებულია ხაზის გაყვანა დამთავრდეს მომდინარე წელს.

უ. გულიაშვილი.

საინტერესო ექსკურსია

ზესტაფონი. შორაპნის ელექტროელმენტების ქარხნის კოლექტივმა მოაწყო ექსკურსია მარშრუტით: ზესტაფონი-თბილისი-თელავი-ზესტაფონი.

ექსკურსანტებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი, აგრეთვე ქართული კულტურის უძველესი ძეგლები — იყალთოს აკადემია, ალავერდის ტაძარი, გრემის ნანგრევები, მეფე ერეკლეს სასახლე და სხვა ისტორიული ადგილები.

ქ. ყიფშიძე.

ცალკა—გამოქანაგებით

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ზუგდიდის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორამ (დირექტორი შ. მიქელაძე) პირველი აგვისტოდან მსუბუქი ტაქსის გაჩერების ადგილზე გახსნა სადისპეტჩერო ჯიხური. მოქალაქეებს შეუძლიათ ისარგებლონ ტაქსის ბინაზე გამოძახებითაც.

ხილი—მოსკოვს

საიუბილეო წელს კარგ წარმატებებს მიაღწია საქმიანობისტანის თერჯოლის დამზადების კანტორამ (დირექტორი ო. ჩიქვილაძე). 5 აგვისტოსათვის ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 200 ტონისა, მოსკოვის მშრომელებს გაუგზავნეს 215 ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი კურკოვანი ხილი, ამ საქმეში თავი ისახელეს სოფლების ეწრის, საზანოს, რუფოთის, ჩხარისა და ბარდუბნის დამზადება — შესყიდვის პუნქტებმა.

ვ. კუტალაძე.

მოიგეს „ჰოლგა“ „ზაპოროჟეცი“

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ბედნიერი ბილეთი გამოადგა ზესტაფონში „მეხოვრეს კონსტანტინე შევჩუკს. ამ დღეებში მან ზესტაფონის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარადგინა ფულისა და ნივთების ლატარიის 1967 წლის მეშვიდე გამოშვების ბილეთი, რომელმაც მსუბუქი ავტომანქანა „ვოლგა“ მოიგო.

ოჩამჩირის ცენტრალურ შემნახველ სალაროში გალის რაიონის სოფელ შეშელეთის მცხოვრებმა ნიკოლოზ ზაქარაიამ წარადგინა ფულისა და ნივთების მეშვიდე გამოშვების ლატარიის ბილეთი №110, სერია 57791, რომელსაც მოგებად ხვდა მსუბუქი ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“.

მ. ბოჭუა.

ჩვენს პრე-ჭარეში

იუმორისტული მოთხრობა

შეუდარებელი ქმარი

ნანა კანდელაკი

ზახუშტი სახეგაბადრული მოვიდა შინ.

— ჩიტოლია, ჩიტო, სადა ხარ? მოდი, ნახე, რა მოგიტანე, მოდი, ქალო, ნახე!.. — შეეხმაურა ცოლს და პირდაპირ სასადილო ოთახში გაემართა.

ჯანით სავსე ჩიტოლია მძიმე წონის მატარებელივით ხმაურით შემოგრიალდა სასადილო ოთახში. უფრო ეჭვის თვალით, ვიდრე ცნობისმოყვარეობით, შეხედა მაგიდაზე დადგმულ, საკმაოდ მოზრდილ მუყაოს ყუთს და ცივად მიახალა ქმარს:

— მომიტანე, თორემ შენც ინგლისური ტრიკოტინის კაბით არ გამიხარო გული... რა არის ეს, ახალი მარკის მტვერსასრუტია, თუ ისევ კედლის საათი?

ცოლის სიტყვებმა თითქოს დამდუღრესო, ზახუშტის სახე მოეღრიცა, შუბლი სიმწრის ოფლმა დაუფარა. გულდაწყვეტილმა შეხედა მუყაოს ყუთს და გაბრაზებულმა შეკასურა:

— ხელისგულზე ერბოკვეტცხი რომ შეგიწვა, მაგ შენს გაქვავებულ გულა ალბათ. მაინც ვერაფრით ვერ მოვიგებ... ჰაი, დედასა, — მჯიღი გაირტყა მკერდში გაცოფებულმა ზახუშტიმ. — ზოგიერთი მამაკაცივით ყოველ ღამე მთვრალი რომ მოვდიოდე შინ აყალმაყალითა და ჩხუბით, იცოცხლე, პატივისცემა თუ არა, შიში და რიდი მაინც გექნებოდა ჩემი... ახლა კი, ვინ ვარ, ან რა ვარ მე ამ სახლში?.. ტორიჩელის სხეარიელე, ნოლი...

— მორჩი დედაბერივით ჯაჯღანს! — სრულიად გულგრილად შეუტა ჩიტოლიამ ზახუშტის, ტახტზე მიწვა და გემრიელად გააბოლა პაპიროსი. — ნოლს შენ ასე აგდებით ნუ ახსენებ... ნოლს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მათემატიკაში. უნოლოდ ვერ დაიწერებოდა ვერც ათი და ვერც მილიონი... უმილიონოდ კი არ იქნებოდნენ მილიონერები. გასაგებია?..

— ოხუნჯობ, დამცინი, ხომ?.. მეტის ღირსი ვარ, კი!.. არა, რა ძალამაზი ფეხსაცმელი, შენ არ მომიკვდე, არცა მქონია..?

— დაიჯერებ, — ლაპარაკის სადერეფოში აეშალა ზახუშტის, — სპეციალური ბრძანება იქნა დაშვებული ფაბრიკის დირექტორის სახელზე შენი ფეხსაცმლის შეკერვის ნებართვაზე, აბა!..

— ოპო-ჰო, ეს რომ ჩვენი სახლის ქალებმა გაიგონ, ნამდვილად გულზე გასკდებიან, — გაიფხორა ჩიტოლია და თავისი როხროხა ხმით მადიანად გაიცინა.

— ძლივს დავარწმუნე ფაბრიკის დირექტორი და საამქროს ოსტატი, რომ ეს ფეხსაცმელი მუზეუმისათვის კი არა, შენთვის მინდა, ჩიტო... 45 ზომის ფეხსაცმელი ერთხელ ცირკის სპიოლის შეეუკერეთ, მაგრამ ამ ფეხის ზომის ქალი თუ ცხოვრობდა ჩვენს ქალაქში, არ გვეგონაო, — მითხრეს. როგორ არა, 45 ზომის ფეხი ჩემს ცოლს აქვს-მეთქი, ვუთხარი. არ გადაგვრიოვო, — მითხრეს. ჰოდა, შენი სიცოცხლე რომ დავიფიცე, მერე კი დამიჯერეს, მაგრამ იმდენი იცინეს, მუცლები ხელით ეჭირათ...

ჩიტოლიას სახეზე მიწისფერი დაედო. ბურთივით წამოვარდა ტახტიდან. ფეხსაცმელი მიყარ-მოყარა და ისტერიულად იკივლა:

— ვინ გგონივარ შენ მე?!. რა გამიბედე თუ გესმის, ჰა?!

— არ მოგწონს, ჩიტო, ფეხსაცმელი? — ფერი ეცვალა ზახუშტის, — წეღან რომ თქვი კიო...

— სისულელეს ნუ ლაპარაკობ!... გინდა წნეგა ამივარდეს თავში და ნე უბედურს გულის ინფარქტი დამემართოს? — ცრემლები მოერია ჩიტოლიას, — ვინ გითხრა, შე ბოთე, რომ 45 ზომის ფეხი მაქვს.

— შენ მითხარი, ჩიტო...

— დაგაყარე მიწა, ცოლი რაღაცას გაგეხურმება სახლში, ენატარტალა ქალივით ქვეყანას უნდა მოსდო?! ცირკის სპიოლ ხომ არა ვარ, შე ჯანდამწვარო, 45 ზომის ფეხი მქონდეს. რას იფიქრებს ის ხალხი ან შენზე, ან ჩემზე... გასწი ახლავე და უთხარი ყველას, რომ ისუმრე. გესმის? ყველას გააგებინე, რომ შეცდი, რომ შეგეშალა ზომა. ბოლოს და ბოლოს, რატომ უნდა ეგონოს იმ ხალხს, რომ შენ არანორმალური ცოლი გყავს, როდესაც მე ნორმალური ვარ ზომითაც და თითქმის წონითაც... — ჭერს ხდიდა ჩიტოლიას მეხივით მჭექარე ხმა.

— მაგას კი ვიტყვი, მაგრამ ამ ფეხსაცმელს რა ვუყო?

— დაუბრუნე.

— აბა, არ გინდა ეს ფეხსაცმელი?

— არავითარ შემთხვევაში! სხვა შემიკერონ.

— მაინც რა ზომის შეგიკერონ?

— რა ზომის და ჩვეულებრივი ზომის... 37, 39... თუ მაინცდამაინც, შეიძლება ცოტა მეტი ზომისაც იყოს.

ბოლო სიტყვები ჩიტოლიამ ხმადაბლა წაიდუდუნა. ფეხსაცმელი იატაკიდან აიღო, ალერსით გადაუსვა ხელი, მერე საოთახეში ჩაიწყო ყუთში და ზახუშტის გაუწოდა.

ზახუშტი ათად მოიკეცა. არაფერი უთქვამს. გამოართვა ცოლს მუყაოს ყუთი და სახლიდან წავიდა.

დიდხანს იბორიალა ქუჩაში. მუყაოს ყუთი ერთი ხელიდან მეორეში გადაჰქონდა. რა ეღონა, არ იცოდა.

ბოლოს დაღლილი და მოქანცული გვიან ღამით დაბრუნდა შინ.

ჩიტოლია კარებში შეხვდა.

ჩიტოლიას დანახვაზე ზახუშტის საოცარმა ფიქრმა გაუელვა გონებაში. სახე გაებადრა, მუყაოს ყუთი გაუწოდა და ღიმილით უთხრა:

— აბა, ნახე, ჩიტო, თუ მოგეწონება?.. — ფაბრიკაში თქვეს, ასეთი კოხტა ფეხსაცმელი ჯერ არ შეგვიკერიაო...

— უკვე შეკერეს?!

— ჩქაროსნული მეთოდით. — მძიმედ დაარქია თავი ზახუშტიმ.

ჩიტოლიამ ფეხი ჩაჰყო ფეხსაცმელში და კმაყოფილებით ჩაუკრა ქმარს თვალი.

— კარგია, ხომ იცი! რა ზომაა?

— კარგად არ მახსოვს, ჩემო ჩიტო, 37 ან 39 უნდა იყოს, — თქვა ზახუშტიმ და სახე მოარიდა ცოლს.

— შესანიშნავია!.. — წამოიძახა გახარებულმა ჩიტოლიამ, ქმართან მიქაჭანდა და ნაზად აკოცა ლოყაზე. — შეუდარებელი ქმარი ხარ, ჭირიმე, შეუდარებელი ქმარი!...

ნახ. გ. იაშვილისა.

გნებავთ გადაეჩვიოთ?

აქ თამბაქოს წევას თავს ანებებენ

სერგი რიეიკოვი იალტის კიროვის სახელობის სანატორიუმში ჩრდილოეთ ყაზახეთის ოლქიდან ჩამოვიდა, სადაც ტრაქტორისტად მუშაობს. პირველსავე მიღებაზე მკურნალმა ექიმმა ლიუდმილა გოლოვინამ უთხრა რიეიკოვს: ძალიან ბევრს ეწევით თამბაქოს, ეს კი მხოლოდ ხელს უწყობს ზედა სასუნთქი ორგანოების დაავადების განვითარებას, რაც თქვენ გაწუხებთ.

რიეიკოვის საკურორტო წიგნაკში გაჩნდა ჩანაწერი, რომ მას დაენიშნა ანტინიკოტინით თერაპიის კურსი. მედდამ მას ნემსები გაუკეთა, შემდეგ კი მან დაიწყო სპეციალური ფხვნილის მიღება, და ხუთიოდე დღის შემდეგ ისე მაშინალურად აღარ ეტანებოდა ჯიბეს სიგარეტებისა და სანთლის ამოსაღებად. მკურნალობის კურსმა დაძლია მრავალი წლის მავნე ჩვეულება. ტრაქტორისტის სულიერ განწყობილებაზე ამან კარგად იმოქმედა: აღარ ახველებდა, თავის ტკივილმა გაუარა.

კიროვის სახელობის სანატორიუმის პროფილია სასუნთქი ორგანოების დაავადებანი. ამ დაავადებათა დროს კი თამბაქოს წევა განსაკუთრებით მავნებელია. აი ამიტომ ცდილობდნენ ექიმები გამოენახათ თამბაქოსთან ბრძოლის ყველაზე მისაღები მეთოდიკა. ძიება, ბოლოს, წარმატებით დამთავრდა. მკურნალობა, რაც ორ კვირას გრძელდება, იმაში მდგომარეობს, რომ ავადმყოფს კანქვეშ შეუშუბაუნებენ 0,15 პროცენტიან ციტიტონს, ამავე დროს იგი პირში ივლებს აზოტ-ჟანგბადიანი ვერცხლის ხსნარს, შემდეგ კი რამდენჯერმე მიიღებს ნიკოტინის მეავას და გლუკოზის ფხვნილს.

როგორც „კურორტნაია გაზეტა“ იუწყება, სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ანტინიკოტინით თერაპიის ქმედითობა 70-75 პროცენტს აღწევს. წელს ორმოცი კაციდან, რომლებიც ამ მეთოდით მკურნალობდნენ, ამ მავნე ჩვეულებას თავი დაანება ოცდაათმა.

სერგი შანტირი,

ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტი.

სხვა გაზეთებიდან

თაეაზიანი ძღვლები

როგორც ბულგარული ჟურნალი „სტირშელი“ იუწყება, ინგლისის ერთი ზღვისპირა ქალაქის ეკლესიაზე გაჩნდა ასეთი განცხადება: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ტურისტებო! მაგრამ გფრთხილებთ, რომ რამდენადაც ჩვენს ეკლესიას არა აქვს საცურავი აუზი, აუცილებელი არ არის აქ მოსვლისას საბანაო კოსტიუმები გეცვათ“.

უთანასწოროობა

ნიუ-იორკის პოლიციის მონაცემებით, მთელი წლის მანძილზე მან მიიღო 17 ათასი განცხადება იმ ცოლებისაგან, რომლებიც თავიანთ ქმრებს დაეძებენ. იმავე ხნის განმავლობაში მხოლოდ 13 ქმარმა ითხოვა დახმარებოდნენ უგზოუკცოდ გადაკარგული ცოლების პოვნაში. ამას იუწყება იუგოსლავური გაზეთი „პოლიტიკა“.

„დინამოს“ სპორტიმონი

ა.კ. წარეთლის პროსპ. № 2

ტელ. 5-21-62

14 და 15 აგვისტოს

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობის გათამაშება „ა“ კლასის I ჯგუფის გუნდებს შორის

„ტორპედო“ ქუთაისი — „დინამო“ თბილისი

14 აგვისტოს სათადარიგო შემადგენლობანი

დასაწყისი 18 ს. 30 წ.

15 აგვისტოს ძირითადი შემადგენლობანი

დასაწყისი 19 ს. 30 წ.

15 აგვისტოსათვის ბილეთები აბონემენტებზე იყიდება 13 და 14 აგვისტოს 12-დან 19 საათამდე, შესვენება 14-დან 15 საათამდე. ბილეთების საერთო გაყიდვა 15 აგვისტოს 10 საათიდან.

ტელევიზია

13 აგვისტო

09.30 — ლექცია — „ქსელოვანი დაგეგმვა და მართვა მშენებლობაში“, 11.00 — „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — „ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „გოგონა ბურთზე“, 16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.30 — კინონარკვევი, 17.45 — სატელევიზიო სატირული ჟურნალი „ფელენგატორი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — კონცერტი მშენებელთა დაკვეთით, 18.55 — კინონარკვევი, 19.20 — გადაცემა — „ფოთის კულტურული ცხოვრება“, 20.20 — კინონარკვევი. 20.35 — „მუსიკალური სუვენირები“ — საესტრადო გასართობი პროგრამა (ეძღვნება ბიჭვინთის მშენებლებს), 21.40 — ქართული კინოკომედია „დაკარგული სამოთხე“, 22.55 — გადაცემათა პროგრამა 14 აგვისტოსათვის, 23.00 — საკვირაო გასართობი პროგრამა (გადმოცემა ბერლინიდან).

მეცხრე არხით — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი დილის 11 საათიდან.

14 აგვისტო

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — მოსწავლეთათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი „არაჩვეულებრივი სასტუმრო“, 18.30 — გახცხადებები, 18.35 — გადაცემა — „ინდოეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (ინდოეთის დამოუკიდებლობის 20 წლისთავის გამო), 18.50 — კინონარკვევი, 19.00 — გადაცემა — „ქართული მუსიკა ქ. გორკის საკავშირო ფესტივალზე“, 19.20 — კინონარკვევი, 19.35 — გადაცემა — „სტუმარმასპინძლობა“ (მეტი ყურადღება საზოგადოებრივ კვებას), 20.05 — კინონარკვევი, 20.15 — გადაცემა „დილის საარი“ (ხ. ტალგაუკოვი), 20.40 — სატელევიზიო მრავალსერიანი დოკუმენტური ფილმი „ნახევარი საუკუნის მატიანე“ — 1917 წელი (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.30 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.50 — მხატვრული ფილმი „ყველაფერი მახსოვს, რიჩარდ!“.

მეცხრე არხით — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი 17 ს. 30 წ.

ჩაუ ვრცელოთ, ჩაუ ეოვისეირეთ

კინო

13 აგვისტო

რუსთაველის სახელობის ოქტომბერი, საქართველო (მწვანე დარბაზი) — **ფანტომასი** ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი — **ივლისის წვიმა,** კომკავშირელი, საქართველო (მწვანე დარბაზი, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი — **ყვავილი მტვერში** (I-II სერია), თბილისი, ვაკის პარკი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი — **ავანტიურისტის კარიერა.**

რედაქტორი

დ. მჟედლიშვილი.

კომუნისტი

თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03. 9-03-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80 სამდივნოსი — 9-66-10 განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61 პროპაგანდის — 3 22-93, მრეწველობის — 3-20-34, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 3-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-53 ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-78 24 ილუსტრაციის — 3-28-54, განცხადებების — 3-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЭ-04140

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილის